

ქვეყანა



ქვემო ყველა





მანგლის „ქვაქვარა“.

Манглиси. Каменный крест.

სერია: „მატირიალური კულტურის კვლევა“



ქველის ქუთხარი

კრებული მრმთვამთმთმთმთმთ

გამთდის საზოგადოებრივ საწმისებზე

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — მთარ სანებლიძე

Редактор серии Ираклий Цицишвили

Редактор Отар Санелидзе

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მ
მდიანი), ლადო გუდიაშვილი, მთარ თაყთაიშვილი, ირაკლი ჯაჭარიაშვილი,
ნიკო კაცხვალი, მთარ ლოკთაიშვილი, ლევან მატარაძე, მთარ სანებლიძე,
თინათინ ფერაძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|--|-------|
| იბრაჰიმ იბრაჰიმოვი — მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით (დასასრული) | 5 |
| ინჰილი ნიკოლაიშვილი — ქუთაისი-გელათი-გვერთა | 11 |
| იოსებ ბონინიძე — ნანეთუშ ქალის სამაროვანი | 15 |
| ჯანაღა გვინაძე — კავთისხევის ციხეაგორაზე აღმოჩენილი ზიარსხეულაანი ხარების ქან-დაცების ხემატეკური გავებისათვის | 22 |
| ინჰილი ჯანაღა, ინჰილი გვინაძე — ქაქვისწყლის ხეობა | 27 |
| ლია ხუციშვილი, ანტონ ძალდანი — ქრისტანობისდროინდელი ერთი ძეგლი ინგუშეთში | 31 |
| არჩილ შავლაძე — რესტავრაციის მეთოდური შესახებ | 36 |
| ილია აბაშიძე — ხალხური ძეგლების შესწავლას მეთი სიფრთხილედ სჭირდება | 41 |
| იოსებ ჯანაღა — ბრინჯაოს ოთხი ანტიკომორფული ფიგურა | 53 |
| შალვა მოგალია — წარსულის ძეგლებს მეთი უურადლება | 69 |
| ალექსანდრა ელიაშვილი — ხაჯაბეგის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის შესახებ | 64 |
| ივანე თვალაძე — შტრუქტურული, უფლისა | 67 |
| ანტონიძე რუსულ და ინგლისურ ენებზე | 72-78 |

СОДЕРЖАНИЕ

| | |
|---|-------|
| И. Цицивили — Материалы историко-археологической экспедиции к вост. Картли | 5 |
| М. Николеишвили — Кутанси — Гелати — Гегути | 11 |
| Г. Гвинчидзе — Могильник Нанепиш Чале | 15 |
| Дж. Гветадзе — Для семантического понятия скульптуры быжов с единым туловищем найденного на Кавтисхевского «Цихиа-гора» | 22 |
| М. Джангидзе, М. Мчедlishვილი — Ущелье Джачвисцвали | 27 |
| Л. Хуцишвили, А. Калдая — Христианский памятник в Ингушетии | 31 |
| А. Павленишвили — О методике реставрации | 36 |
| И. Адамия — Изучению памятников народного зодчества требуется бережливое отношение | 41 |
| Г. Джавахишвили — Четыре бронзовые антропоморфные фигуры | 53 |
| Ш. Кобалия — Больше внимания памятникам культуры | 60 |
| А. Елердашвили — Об охране памятников культуры расположенных на территории Сагареджойского р-на | 64 |
| И. Тваладзе — Шефствуют над памятниками | 67 |
| Аннотации на русском и английском языках | 72—78 |



**მატირიალური კულტურის ქაზლაპი ქვემო ქართლის ისტორიულ-
არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით***

ზის ხეობა

1. **პატივანი.** ალგეთის პირას, ზის წყლის შესართავთან არის გვიანფეო-
დალური ხანის ნასოფლარი და ეკლესიის ნანგრევი. 210.
2. **ნასოფლარი.** მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირას, ლალავნის ხევის
შესართავთან ნასოფლარია, სადაც კარგად ჩანს შენობათა ნაშთები და
მცირე ზომის, ქვიშაქვით ნაგები ეკლესია. 211.
3. **ნასოფლარი.** სოფ. ვაკის ჩრდილო-დასავლეთით, პატივანის სამხრეთით
4 კმ. მანძილზე, ტყეში გამავალ ძველ გზაზე დგას დარბაზული ტიპის დიდი
ზომის წმ. სამების ეკლესია. მას აქვს მინაშენები სამი მხრიდან: კედლები
შემოსილია ადგილობრივი ქვიშაქვის თლილი კვადრებით .ეკლესია უხვად
და ორიგინალურად არის მოჩუქურთმებული. შემორჩენილია ჩუქურთ-
მინი კანკელი. ეკლესია XI ს. უნდა მიეკუთვნოს. ეკლესიის ირგვლივ
მსხვილი საერო შენობათა ნანგრევებია (სასახლის ნაშთები). აქვეა სოფ-
ლის ნაშთები. 212.
4. **კობალა.** სოფ. საფუძრების აღმოსავლეთით 5 კმ. მანძილზე, პატივანის
სამხრეთით არის მცირე ნასოფლარი და ცალნავიანი ეკლესია, რომელ-
შიაც ყურადღებას იპყრობს საკურთხევის მოზრდილი, ნახევარწრიული
ფორმის ნიშები. 213.
5. **ცხოვრისი.** სოფ. საფუძრების აღმოსავლეთით 4 კმ. დაშორებით და
კობალას ჩრდილოეთით 1 კმ. მანძილზე არის ნასოფლარი და გალავნით
შემოზღუდული მცირე ეკლესია. 214.
6. **საბუზარა.** თანამედროვე სოფელი საფუძრები. არის ძველი შენობების
ნაშთები. 215.
7. **ახალშენი.** აწინდელი სოფ. ზრბითი. სოფელში შემალღებულ ადგილას
ხევის პირას დგას ბაზალტის თლილი კვადრებით აგებული ღვთისმშობ-
ლის ეკლესია სამხრეთის მინაშენით. მასში მრავალი ორიგინალური რე-
ლიეფური კომპოზიციებია და ჩუქურთმოვანი მოტივები. ეკლესია აღ-
ბათ VIII—IX სს. უნდა მიეკუთვნოს, თუმცა შეიმჩნევა შემდეგი პერიო-
დების ფენებიც. 216.
8. **სამაროვანი.** სოფ. ზრბითის ჩრდილოეთით 600 მეტრის დაშორებით, მა-
ლალ ბორცვზე არის გალავნით შემოზღუდული სასაფლაო. თვით ბორცვი
წარმოადგენს ე. წ. ნაცარ-გორას. ბევრია ზედაპირული მასალა — შავი,
ლევა და წითელი კერამიკის ნატეხები. 217.

* დასასრული, იხ. კრებული «ძველის მეგობარი» № 50-53.

ქ. თბილისი სსრ. სსრ.
სა. ბიბლიოთეკაში
რ. ბ. მათე. ურბ.
მიხედვით



9. **ზა. აწინდელი სოფ. ახალსოფელი.** სოფლის შუაგულში დგას შემონახული წმ. გიორგის ეკლესია ორი მინაშენით. იგი აგებულია ტის თლილი კვადრებით, უხვადაა მორთული ჩუქურთმებითა და რელიეფური კომპოზიციებით. ეკლესიაზე დაცული წარწერების მიხედვით იგი აგებულია XI ს. შუა წლებში, მაგრამ შემდეგ ყოფილა განახლებული. ირგვლივ მრავალი საფლავის ქვაა და ზეთსახდელის ლილვები. სასაფლაოს დასავლეთის ნაწილში დგას მცირე ზომის ლეთისმშობლის ეკლესია ხოლო სოფლის დასავლეთით 400 მ. მანძილზე კიდევ ერთი, კვირაცხოვლის სრულიად დანგრეული ეკლესია. 218.

10. **აძიკვი.** ახალსოფლის დასავლეთით 2 კმ მანძილზე არის სოფელი გოხნარი. ძველი სოფლის ნანგრევები და მათ შორის დარბაზული ეკლესია ორი მინაშენით სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. ეკლესია აგებულია XI ს. 30-იან წლებში და შემდგომში მოხატულიც ყოფილა. სამხრეთის მინაშენი მიეკუთვნება ამავე საუკუნის ბოლოს ან XII საუკუნეს. სოფელში არის კიდევ ორი ეკლესია: ხევის პირას სრულიად დანგრეული და წმ. გიორგის სახელობისა, დიდი ეკლესიის მახლობლად. 219.

11. **ნასოფლარი.** სოფ. აძიკვის სამხრეთით 2 კმ. მანძილზე ბედენის მთის ტყიან ფერდობზე, ტერასულად განფენილია ციკლოპური ნასოფლარი. სადგომები შექმნილია ლოდებს შორის და ორსართულიან ქვახვრელებს წარმოადგენენ. საყურადღებოა სადგომთა გადახურვა ცრუ თალის სისტემით. ნასოფლარი ერთ-ერთი უძველესია რაიონში და ძვ. წ. I ათასწლეულს უნდა მიეკუთვნოს. იგი ცნობილია, როგორც ბედენის ლოდოვანი. 220.

ლაკვა

1. **ნასოფლარი.** სოფ. ბუდიონოვკას სამხრეთით 2 კმ. დაშორებით ნასოფლარი და მცირე ეკლესიის ნანგრევია. სავარაუდოა აქ სოფელი მარიამი. 221.

2. **ციხე.** სოფ. ბუდიონოვკას სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ. დაშორებით, გზის პირას ბორცვზე შეიმჩნევა გვიანფეოდალური ხანის ციხის ზღუდის ნაშთები. 222.

3. **ნასოფლარი.** ალგეთის მარცხენა ნაპირას, სოფ. ბუდიონოვკის სამხრეთით 1 კმ. მანძილზე სრულიად გადათხრილი ნასოფლარია. აქვეა მცირე ეკლესიის ნანგრევი. 223.

4. **სამაროვანი.** სოფ. ბუდიონოვკას სამხრეთით 500-მდე მეტრის დაშორებით ფერდობზე ქვაყუთები მცირე ზომისა. 224.

5. **ბუდიონოვკა.** სოფელში XIX საუკუნის აგურის დიდი ეკლესიაა, რომელშიაც გამოყენებულია ძველი ეკლესიის ნაწილები. სოფლის ჩრდილოეთის ნაწილში სასაფლაო და იქვე ცალნავიანი ეკლესიის ნანგრევია. სავარაუდოა აქ ძველი სოფელი კველთა. 225.

6. **გამოქვაბულები.** მანგლისის სამხრეთით, მდ. ალგეთის ნაპირას კლდეში გამოკვეთილია ოთხი გამოქვაბული. 226.

7. **სამაროვანი.** მანგლისის სამხრეთით 700 მ. მანძილზე გზის პირას



ბრინჯაოს ხანის ქვაყუთები და იქვე მახლობლად ქვაყუთები ქრისტო-
ანული დროისა.

- 8. **ფოზეთი.** მანგლისის აღმოსავლეთით 1,5 კმ. მანძილზე მთის ფერდობზე ნასოფლარი და მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევია. 228.
- 9. **ნასოფლარი.** მანგლისის აღმოსავლეთით, ფოზეთის ჩრდილოეთით 600 მ მანძილზე ნასოფლარი და ეკლესიის ნანგრევი. 229.
- 10. **ყორლანი.** მანგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ მანძილზე. ორი მცირე ზომის ყორლანი. 230.
- 11. **ხიდი.** მანგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ დაშორებით კველეთის ხევზე ქვის, თაღოვანი ხიდის ნაშთებია. ხიდი მდებარეობს თბილისიდან მანგლისისაკენ — მიმავალ ძველ გზაზე. 231.
- 12. **მოხისი.** აწინდელი სოფლის შუაგულში დგას მცირე ზომის ცალნავიანი ეკლესია. მისი თლილი ქვის პერანგი, კამარა და კანკელი გვიანდელი რესტავრაციის შედეგს წარმოადგენს. როგორც აღმოსავლეთის სარკმლის თავზე შემონახული წარწერიდან ირკვევა ეკლესია XI—XIII საუკუნეშია აგებული. ხოლო XIX საუკუნის 50-იან წლებში იგი განაახლა ადგილობრივმა მებატონემ ყაერიშვილმა. 232.

მანგლისი და მისი ხევი

- 1. **მანგლისი.** ძველი სოფელი მდებარეობდა აწინდელი დაბის დასავლეთის ნაწილში, ტაძრის ირგვლივ, ტაძარი აგებულია VI საუკუნის ტეტრაკონქის სახით. 1020 წელს იგი ძირფესვიანად გადაკეთდა, მაგრამ ახალი ტაძრის კომპოზიციაში შევიდა ძველის აფსიდები. ტაძარი უკანასკნელად XIX საუკუნის 50-იან წლებში იყო რესტავრირებული. შეკეთებული იქნა აგრეთვე ეკლესიის მაღალი გალავანი, აგებული 1667 წელს. ტაძრის კედლებზე შემონახულია რამოდენიმე ასომთავრული წარწერა. 233.
- 2. **ქვემო ოძისი.** მანგლისის ჩრდილოეთით, სასაფლაოების უბანში, ნასოფლარია. იგი მთლიანად მიწასთანაა გასწორებული. აქვეა ეკლესიის ნანგრევი და მის ზემოთ სამაროვანი-ქვაყუთებით. 234.
- 3. **ზემო-ოძისი.** მანგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ დაშორებით დიდი ნასოფლარის ნაშთებია. სოფლის ეკლესია, როგორც ჩანს გვიანფო-დალური ხანისა, ასევე დანგრეულია. 235.
- 4. **ნასოფლარი.** ძველი მანგლისის სამხრეთით, ალგეთის მარჯვენა ნაპირას მცირე ნასოფლარი, ეკლესიის ნაშთები და ციხის კედლების ნანგრევები. სავარაუდოა აქ ძველი სოფელი ედოთი. 236.
- 5. **ნასოფლარი.** მანგლისის სამხრეთ-დასავლეთით 6 კმ მანძილზე მანგლისიდან — წალკაზე მიმავალ გზაზე, ნასოფლარი და მცირე ზომის, უსახო ეკლესიის ნანგრევი. ეკლესიასთან დგას ჩუქურთმებით შემკული ბაზალტის ქვაჯვარი. შესაძლებელია აქ ყოფილიყო სოფელი **საქრისი**. 237.
- 6. **ნასოფლარი.** ახალსოფლის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ მანძილზე მდ. ლაკვას მარცხენა ნაპირას მთის ბორცვზე წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი და ირგვლივ ნასოფლარი. ეკლესია შემოსილი ყოფილა შესანიშნა-



ვად თლილი ფილებით. იგი როგორც გარედან ასევე შიგნით სუფთად და მოჩუქურთმებული. კირის ბალაერის ქვაზე დიდი რელიეფურ მხატვრობითაა. ეკლესია XI საუკუნეში უნდა იყოს აგებული. სავარაუდოა აქ ძველი სოფელი ლაკვა. 238.

7. **ნასოფლარი.** ძველი აძიკვის ჩრდილოეთით 2 კმ მანძილზე მანგლისი-დან წალკაზე მიმავალ გზის პირას, ფერდობზე მოზრდილი ნასოფლარია, მის ზემოთ კი ცალნავიანი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიას სამხრეთის მხრიდან მინაშენი ჰქონია. იგი შემოსილია ბაზალტის თლილი ფილებით და შიგნით მთლიანად მოხატული ყოფილა. სარკმელების საპირებზე აქაიქ გადარჩენილია რამოდენიმე ჩუქურთმა. სამხრეთის კარის ბალაერზე მოთავსებულია ვრცელი ასომთავრული წარწერა, რომლის მიხედვით ეკლესია XI საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. შესაძლებელია ამ ადგილას, რომელსაც ახლა გოხნარს უწოდებენ, იყო სოფელი აძიკვი აზიკი, გადმოსული აქ მის სამხრეთით მდებარე ძველი სოფლიდან. 239.

8. **ნასოფლარი.** ახალსოფლისა და აძიკვის ჩრდილოეთით 2 კმ მანძილზე მთის ფერდობზე დიდი ციკლოპური ნასოფლარია. სადგომები ტერასებზე ჯგუფ-ჯგუფადაა განლაგებული. შეიმჩნევა, როგორც სრულიად უძველესი, ასევე შემდეგი პერიოდების ნაგებობანი. ამ ნასოფლარს გოხნარის ლოდოვანი ეწოდება. 240.

9. **ეკლესია.** მანგლისის სამხრეთ-დასავლეთით 4 კმ მანძილზე მთაზე ეკლესიის ნანგრევები, რომლის ირგვლივ რამოდენიმე ქვაჯვარია. ერთ მათგანს ქალქვას ან მამიდას ქვას უწოდებენ. იგი დიდად პოპულარული ყოფილა ადგილობრივ მოსახლეობაში. 241.

10. **ნასოფლარი.** მანგლისის დასავლეთით 2 კმ მანძილზე, აწინდელ სოფელ პოლიანაში ძველი ნასოფლარი და მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევები, რომლის ირგვლივ ორი სასაფლაოა. 242.

11. **ნასოფლარი.** აწინდელი სოფ. შეხვეტილა. სოფელში XIX საუკუნის ეკლესიაა — აგებული ძველის საფუძველზე. 243.

12. **ნასოფლარი.** სოფ. შეხვეტილას აღმოსავლეთით 1 კმ მანძილზე ნასოფლარის ნაშთები და ცალნავიანი ეკლესიის ნანგრევია. 244.

13. **ეკლესია.** სოფ. შეხვეტილას ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ მანძილზე მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირას, მცირე ზომის ცალნავიანი ეკლესიაა, რომელშიც დგას მოჩუქურთმებული ტრაპეზის ქვა. 245.

14. **სამაროვანი.** მანგლისის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ მანძილზე ქვაყუთები ბრინჯაოს ნივთებით. 246.

15. **კოდისწყარო.** სოფელში ძველი შენობათა ნაშთები და გვიანფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევები — აქ უნდა ყოფილიყო ძველი სოფელი მჭავისი. 247.

16. **თხილოვანა.** მანგლისის ჩრდილო-დასავლეთით 4 კმ მანძილზე აწინდელი სოფ. თხინვალა. სოფელში ბაზალტის ქვით შემოსილი ეკლესია და მის ირგვლივ ძველი შენობათა ნაშთებია. 248.

17. **ნასოფლარი.** სოფ. თხინვალას ჩრდილოეთით 500-ოდ მეტრის მანძილზე, ნასოფლარის ნაშთებია. სავარაუდოა აქ მეორე სოფელი თხილოვანა. ნასოფლარის ჩრდილოეთით დგას კვირაცხოველის მცირე ეკლესია. 249.

18. **მკაეისი.** აწინდელი სოფელი მკაეისის წყლის სათავეში, მანგლჩის ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ დაშორებით. სოფელში გვიანდყოდალური ხანის გალავანი და კრამიტით დახურული ეკლესიაა. მის ირგვლივ სასაფლაოა. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 300-დე მეტრის მანძილზე ნასოფლარის ნაშთებია. აქ უნდა ყოფილიყო სოფელი ცხენიკალა. 250.
19. **ქვაჯვარა.** სოფ. კოდორ-წყაროს ჩრდილოეთით 2 კმ მანძილზე ნამტვრევანის გზაზე, ბაზალტის ქვაჯვარაა კვარცხლბეკით. 251.
20. **ნასოფლარი.** აწინდელი სოფ. დიდი ნამტვრევანი. სოფლის აღმოსავლეთითა და დასავლეთით ორი ეკლესიაა — წმ. სამებისა და თეთრი გიორგისა.

ეკლესიების ირგვლივ ნასოფლარების ნაშთებია. სოფლის ჩრდილოეთით ქვაყრილი ყორღანი, რომლის დიამეტრი 8 მ და სიმაღლე 2 მ. ყორღანთან სალოცავი ხატია. 252.

21. **ნასოფლარი.** სოფ. დიდი ნამტვრევანის ჩრდილოეთით 1 კმ მანძილზე ტყეში ნასოფლარის ნაშთები. 253
22. **ნასოფლარი.** სოფ. დიდი ნამტვრევანი. სოფლის ადგილას ჩანს ძველი ნასოფლარი და სამების ცალნაეიანი ეკლესია. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. 254
23. **ნასოფლარი.** აწინდელი სოფელი ზემო არხოტი. ნასოფლარის ნაშთები და ბაზალტის ქვით ნაგები, მცირე ზომის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევია. სავარაუდოა აქ სოფელი მანწნარა. 255
24. **ნასოფლარი.** ს. ზემო არხოტის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ მანძილზე, აქ არის ზამთრის სადგომი, ე. წ. კაგარჯიკი. კლდის ქვეშ, ფერდობზე ნასოფლარის ნაშთები და მცირე ზომის ქვიშაქვით აგებული ეკლესია. სავარაუდოა ამ ადგილას ძველი სოფელი საყავრე. 256.
25. **უგუდეთი.** აწინდელ სოფელში ჩანს ძველი ნასოფლარების ნაშთები და მოზრდილი, ორიგინალური ეკლესიის ნანგრევი. როგორც ჩანს ეკლესია XIII საუკუნეშია აგებული. 257.
26. **ნასოფლარი.** უგუდეთის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ მანძილზე შემორჩენილია ნასოფლარის ნაშთები და მცირე ზომის უსახო ეკლესია 258.
27. **ნასოფლარი.** უგუდეთის სამხრეთით, 1,5 კმ მანძილზე, ტყეში შემორჩენილია ნასოფლარის ნაშთები და ეკლესიის ნანგრევი. 259.
28. **კლდე-კარი.** ორი გასასვლელი: პირველი 12 მ სიგრძის, მეორე 50 მ სიგრძისა და 15 მ სიმაღლის კედლებით. „კარის“ თავზე IX საუკუნის ციხის ნანგრევია 260.
29. **ნასოფლარი.** აწინდელი სოფელი გოგნარა. ძველი შენობათა ნაშთები და დიდი ეკლესიის ნანგრევი. ეკლესია შემოსილია ბაზალტის მშენიერად თლილი ფილებით. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე — შემონახულია ვრცელი ასომთავრული წარწერა. როგორც ჩანს ეკლესია X საუკუნეშია აგებული. 261.
30. **ეკლესია.** ს. გოგნარას სამხრეთ-დასავლეთით 800 მ მანძილზე გზაჯვარედინზე, მცირე ზომის თლილი ქვით ნაგები წმ. ელიას ეკლესია. 262.

31. **ქვა-ჯვარი.** სოფ. გოგნარას აღმოსავლეთით 1,5 კმ დაშორებით გზის პირას დგას ბაზალტის ქვაჯვარი. ქვაჯვარის ჩრდილოეთით ჩანს მისი ზედა ნაწილი და დანგრეული შენობების კვალი.
32. **ქვაჯვარა.** სოფ. ნაპილნარის სამხრეთით, არხოტის დასავლეთით 3 კმ მანძილზე, გზის პირას წყაროსთან დგას ბაზალტის ქვა-ჯვარა. 264.
33. **გამოქვაბული.** სოფ. არხოტის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ მანძილზე კლდეში გამოქვაბული გამაგრებული ქვითკირით. 265.
34. **ნასოფლარი.** სოფ. ჭინჭრიანის სამხრეთით 1 კმ მანძილზე, ნასოფლარის ნაშთები და მოზრდილი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიას სამხრეთით მთელ სიგრძეზე ახლავს მინაშენი, იგი აგებულია ბაზალტის კარგად თლილი ფილებით და VII—VIII საუკუნეებს მიეკუთვნება. 266.
35. **ახოთი.** აწინდელი სოფელი არხოტი. სოფელში მცირე ბორცვზე ლეთისმშობლის ძველი ეკლესია გადაკეთებულია XVIII—XIX სს.-ში. ეკლესიის ირგვლივ დიდი სასაფლაოა ორიგინალური საფლავის ქვებით. ეკლესიის ქვებით შუა სოფელში დგას სტელა ხელისა და ორი ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. მასზე მოთავსებული წარწერის მიხედვით, იგი XIII საუკუნეს მიეკუთვნება. 267.
36. **ეკლესია.** სოფ. არხოტის სამხრეთით 2 კმ მანძილზე მთის ფერდობზე, ხშირ ტყეში დგას თლილი ქვით შემოსილი, შესანიშნავი ეკლესია. მის კედლებზე შემონახულია რამოდენიმე მნიშვნელოვანი რელიეფური კომპოზიცია. შიგნით ეკლესიაში დგას ბრწყინვალედ მოჩუქურთმებული XIII საუკუნის კანკელი. 268.



ქუთაისი—გელათი—გავაში

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ჩვენი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, აღდგენა-კონსერვაციისა და შესწავლისადმი. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ახალი კანონი — ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა-გამოყენების შესახებ, ეროვნული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო, ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვა საყოველთაო-სახალხო ზრუნვის საგანი გახდა. სულ უფრო იზრდება ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ასიგნობათა რაოდენობა. კიდევ უფრო გააქტიურა თავისი საქმიანობა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ნებაყოფლობითმა ორგანიზაციებმა. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ჩვენს ქვეყანაში სამუზეუმო საქმის გაუმჯობესებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის გაძლიერების შესახებ. ცხადია, ამ სფეროში მომუშავე სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკთათვის გასულ წელს განხორციელებული ღონისძიება შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ, ახალ ბიძგს მისცემს და კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანს ჩვენს ქვეყანაში ამ ეროვნულ საქმეს.

ძალზე გააქტიურდა მუშაობა ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ორი წელია ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს კულტურის სამინისტროს სისტემაში წარმოქმნილი ახალი ორგანიზაცია — ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო.

ისევე როგორც მთელ საქართველოში, ჩვენი ქალაქის სინამდვილეშიც გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა. თითქმის დასასრულს უახლოვდება ბაგრატიის ტაძრის რესტავრაცია. ბევრი რამ გაკეთდა გელათში, ამჟამად არქიტექტურულ სამუშაოებთან ერთად მიმდინარეობს გელათის კედლის მხატვრობის რესტავრაცია; მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი, როგორც ქალაქის არქიტექტურული ნაგებობის, მისი დამახასიათებელი იერსახის, აგრეთვე ქალაქის შემოგარენის ისტორიული ძეგლების დაცვისათვის. ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც ჩვენი აზრით გარკვეულ სიძნელეებს ქმნის აღნიშნული ძეგლების დაცვის, აღდგენა-კონსერვაციის და გამოყენების საქმეში. ეს არის ისტორიული ძეგლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაქვემდებარების საკითხი.

იმის გამო, რომ 50-იან წლებში გაუქმებულ იქნა ქუთაისის სასოფლო რაიონი, ქალაქის შემოგარენში დაცული ისტორიული ძეგლები ტყიბულის, წყალტუბოსა და თერჯოლის რაიონების ტერიტორიის ფარგლებში მოექცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლები აღნიშნული რაიონების ადმინისტრაციული ცენტრიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული. ცხადია, ძეგლთა ასეთმა ტერიტორიულმა გადაჯგუფებამ გამოი-



წვია მათი დაქსაქსვა, ყოველივე ამან კი უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ დაცვასა და გამოყენებაზე. დაირღვა ამ ძეგლების ისტორიულ-კულტურული ერთიანობა, რადგან აქ უგულვებელყოფილია მათი წარმოქმნის ტორიული პირობები.

ქუთაისის ტაძარი, გელათის სამონასტრო ანსამბლი და გეგუთის ციხე-დარბაზი განვითარებული ფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშებია. მათში სრულად არის გადმოცემული აღნიშნული ეპოქის ეროვნული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ფორმები და ადგილობრივი მხარის თავისებურებანი. ეს საკითხი ხელოვნებათმცოდნეების საქმეა, ჩვენ ამ ძეგლების მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე გვიანტერესებს.

ცნობილია, რომ VII ს. 80-იან წლებში ქუთაისი დას. საქართველოს დედაქალაქი ხდება, ხოლო X საუკუნეში ბაგრატ მესამემ იგი საქართველოს დედაქალაქად აქცია. ქუთაისის სამეფო-სარეზიდენციო ქალაქად ქცევა ქვეყნის დიდმნიშვნელოვან მოვლენას ემთხვევა, კერძოდ, ამ დროს საქართველო ერთიან ფეოდალურ სახელმწიფოდ ყალიბდება და ქუთაისი, საამისოდ, როგორც სამეფო ქალაქი, დამახასიათებელ ატრიბუტს ლეულობს. უწინარეს ყოვლისა ქალაქში საფუძველი ეყრება საკათედრალო ტაძარს, მანამდე „მიუნჯდომელს“ და განსაცვიფრებელს, ეს იყო საქართველოს გაერთიანების სიმბოლური გამოხატულება და შემთხვევითი არ არის, რომ ბაგრატ III ტაძრის კურთხევა არაჩვეულებრივ დღესასწაულად აქცია. ასეთი ტაძრის აგება ქუთაისში გაერთიანებული საქართველოს სამეფო ქალაქობის იდეოლოგიური გამოხატვა იყო. მაშასადამე, ბაგრატის ტაძრის იმ სახით აგება, როგორც ეს სინამდვილეში განხორციელდა, განაპირობა ქალაქ ქუთაისის ახალმა ფუნქციამ, რადგან მეფის კურთხევა მხოლოდ ასეთ „მიუნჯდომელ“ ტაძარში იყო შესაძლებელი. ეს კიდევ არ იყო საქმარისი სამეფო ხელისუფლებისათვის და XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებელმა, როდესაც იგი აღმოსავლეთ საქართველოდან მტრის ურდოებს ერეკებოდა, სარეზიდენციო ქალაქის ახლოს სამეფო მონასტრის დაარსება მოიფიქრა, რომელიც ბაგრატიონთა გვარის საძვალე უნდა გამხდარიყო. ამავე დროს გელათის სავანე, სარგებლობდა რა სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერით, საქართველოს კულტურის ცენტრი ხდება. საქართველოში არსებულ მონასტრებიდან გელათი ერთადერთი საეკლესიო ორგანიზაცია იყო, რომელიც მხოლოდ მეფის ხელისუფლებას ცნობდა, სხვა სიუზერენი მას არ ჰყოლია, ახლა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მდ. წყალწითელას თვალწარმტაც ხეობაში, „შუენიერსა და უნაკლო“ ადგილზე დავით აღმაშენებელის ბრძანებით გელათის მონასტრის საფუძვლის ჩაყრა განაპირობებული იყო იმით, რომ იქვე ახლოს მდ. რიონზე ქართველ მეფეთა სარეზიდენციო ქალაქი იყო გაშენებული. ი. გელათის წარმოქმნა იმავე ფაქტორებმა განაპირობა რაც 100 წლით ადრე ბაგრატის ტაძრის წარმოქმნას დაედო საფუძვლად. იგივე შეიძლება ითქვას გეგუთის ციხე-დარბაზზე, რომელიც IX საუკუნიდან მეფის სანადირო სადგომს წარმოადგენდა, ხოლო XII საუკუნეში გეგუთი, არსებული დიდბუხრიანი მეფეთა სანადირო სახლი ციხე-დარბაზად და მეფეთა საზამთრო სადგო-




მად გარდაიქმნა. მეფის საზამთრო სადგომი იმაზე მიუთითებს, რომ ხამეფო ხელისუფლებას ძირითადი სამყოფელიც უნდა ჰქონოდა. გეგუთის ანალოგიური ფუნქცია ჰქონია კახნიაურის ციხე-დარბაზს, რომელიც მდრიონის აღმოსავლეთ ნაპირზე მდგარა დღევანდელი ლიტოპონის ქარნისა და აბრეშუმის კომბინატის მიდამოებში.

მაშასადამე, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის თვალსაზრისით, ფუნქციონალურ-გამოყენებითი მიზანდასახულობით, როგორც გელათის მონასტრის, ასევე გეგუთის ციხე-დარბაზის დაარსება ორგანულად არის დაკავშირებული საქართველოს სამეფო ქალაქთან. ამ უკანასკნელის გარეშე გაუგებარი იქნებოდა დასახელებულ ტერიტორიაზე მათი შექმნის მიზანი.

ამგვარად, ამ განსაკუთრებულმა დანიშნულებამ განსაზღვრა მათი წარმოქმნა იმ დროს, როდესაც სამეფო ხელისუფლება ქვეყნის მართვას ქუთაისიდან ახორციელებდა და ამანვე განაპირობა მათი დაარსება ქალაქიდან უახლოეს და ხელმისაწვდომ ადგილზე. მაგრამ ამ ძეგლებს, გარდა ფუნქციონალური კავშირურთიერთობისა, გააჩნია უფრო მყარი გამაერთიანებელი საფუძველი. კერძოდ, ისინი აღმოცენდნენ იმ რეგიონში, რომელსაც ისტორიულად ერთი სახელწოდება ჰქონდა მიკუთვნებული. წყაროები მას „ქუთაისის ქვეყანას“ უწოდებენ. ე. ი. ის რეგიონი, რომელშიც აღმოცენდნენ ჩვენთვის საინტერესო ნაგებობანი, ერთ მთლიან ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა.

„ქუთაისის ქვეყანა“ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აერთიანებდა დასავლეთ საქართველოში, მით უფრო შეიძლებოდა იგი დამაკავშირებელი ყოფილიყო „ქუთაისის ქვეყნის“ ცენტრალურ ნაწილში აღმოცენებული საერო და საეკლესიო ნაგებობებისა. სწორედ ამ ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინება მიგვაჩნია ჩვენ ძირითად ამოსავალ წერტილად, როდესაც საკითხი დგას ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა ნაკრძალ ზონად ჩამოყალიბების, ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და დღევანდელი სამსახურში ჩაყენების შესახებ. ის, რაც გელათისა და გეგუთის შესახებ ითქვა, ეხება ქუთაისის შემოგარენში შემორჩენილ სხვა ძეგლებსაც, სულ ერთია რომელ პერიოდსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, მათ ერთი საერთო მნიშვნელოვანი გააჩნიათ, რომ ისინი „ქუთაისის ქვეყნის“ ფარგლებში არიან მოქცეული და ამ რეგიონის ცენტრალურ ქალაქთან გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობით არიან დაკავშირებული.

ეს ისტორიული პრინციპი უდევს საფუძვლად კულტურის ძეგლთა აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაქვემდებარებას რუსეთში, სადაც საოლქო და სამხარეო მუზეუმებთან არის გაერთიანებული ფილიალებისა და ნაკრძალ სისტემების სახით მოცემული რეგიონის მუზეუმები და ისტორიულ-ხუროთმოძღვრული კომპლექსები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ვლადიმირის ოლქი, სადაც საოლქო მუზეუმთან ფილიალებისა და ნაკრძალების სახით გაერთიანებულია ამ ოლქის მუზეუმები, ძველი რუსეთის ისტორიულ არქიტექტურული ანსამბლები და ცალკეული ძეგლები. ეს წამოწყება მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა (იხ. გაზეთი „პრავდა“ 1976 წ. 19 ოქტომბერი).



მართალია ჩვენთან, საქართველოში არ არის საოლქო და სამხარეთო ადმინისტრაციული დანაყოფები, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების საქმეში. ზაცია განხორციელდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ზონების მიხედვით. ჩვენ ამის საუკეთესო მაგალითიც გვაქვს: გელათის სამონასტრო ანსამბლი თანამედროვე ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ტყიბულის რაიონის ფარგლებშია მოქცეული, მაგრამ იგი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალია. ასეთმა დაქვემდებარებამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება, მაგრამ თუ ავიღებთ ბაგრატის ტაძარს და გეგუთის ციხე-დარბაზს, ისინი ამ გაერთიანების გარეთ არიან დარჩენილი და ამიტომაც მათი კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებისათვის გამოყენება არ ატარებს ორგანიზებულ ხასიათს. დასანანია, რომ XII ს. საერო ხუროთმოძღვრების უნიკალურ ძეგლს — გეგუთის ციხე-დარბაზს მასიური დამოთვალეირებული არ ჰყავს. თვალწარმტაცი ბუნებრივი სანახაობით ასევე არ დგანან დღევანდელი სამსახურში მონამეთის ისტორიული ძეგლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვერცოთ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმსა და მისი ფილიალის — გელათის ძეგლ-მუზეუმს შორის არსებული დამოკიდებულება და ჩვენი ქალაქისა და მის სანახებში არსებული ძეგლები — ბაგრატის ტაძარი, გელათი, გეგუთი და მონამეთა შევკრათ ერთ ისტორიულ-არქიტექტურულ ნაკრძალ ზონად; მოვაქციოთ ისინი ერთ სამუზეუმო გაერთიანებაში, რაც ექვს გარეშეა ხელს შეუწყობს მათი დაცვის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმეს.

ნაწილი ქალის სამარხი

1979 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის ცხაკაიას რაიონული საბჭოს ინსტრუქტორმა ვ. ნირღვა-ვამ იმჟამად ველზე მყოფ ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღვანელი პროფ. პ. ზაქარაია) გადასცა ბუჭედი, 2 სამაჯური, 50 მძივი და 2 მონეტა. ეს ნივთები სოფ. ახალსოფელში (ცხაკაიას რ-ნი), ადგილ ნანეფიშ ქალე-ში, მდ. ტეხურის კალაპოტის კედელში შენიშნულ ქვევრსამარხში უპოვია და ვ. ნირღვავასათვის მიუწოდებია ტეხურის მეცხოველეობის სმეურნეო-ბის მცველს გ. ხოფერიას. ზემოაღნიშნული ნივთების არქეოლოგთათვის გადაცემისას ვ. ნირღვავამ განაცხადა, რომ გ. ხოფერიას ცნობით, ტეხუ-რის დონის ანევის შემთხვევაში (რასაც წვიმიანი ამინდების დროს აქვს ხოლმე ჩვეულებრივ ადგილი) უეჭველად განადგურდებოდა როგორც ნა-ხევრად მიწაშემოცლილ მდგომარეობაში დატოვებული ქვევრსამარხი, ისე ამ უკანასკნელის მახლობლად და დონეზე მდებარე ორმოსამარხი, რომელიც გ. ხოფერიას აგრეთვე შეუნიშნავს ტეხურის კალაპოტის კედელ-ში. არქეოლოგიური ძეგლების საფრთხეში ყოფნის ამ სიგნალს ნოქალა-ქევის ექსპედიცია უმალ გამოეხმაურა, დაუყოვნებლივ გაგზავნა რა მისი ბაზიდან, სოფ. ნოქალაქევიდან 17 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ახალსოფელში სპეციალური რაზმი გ. ძაბილაშვილის, ვ. ნირღვაას და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით.

ახალსოფელში ჩასულთ გ. ხოფერიამ გადმოგვცა ზემოხსენებულ ქვევ-რსამარხსა და ორმოსამარხს შორის შუამანძილზე მის მიერ ასევე ტეხუ-რის კალაპოტის კედელში მიკვლეული კიდევ ორი ნივთი — დამტყრეული და ნაკლული თიხის ჭურჭელი (რომელიც აღმოჩენისას მთელი ყოფილა) და მონეტა, და გვიჩვენა ამ უკანასკნელთა და სამარხთა აღმოჩენის ადგი-ლი — „ნანეფიშ ქალეში“ ტეხურის მარცხენა, 3 მ-ის სიმაღლის შვეული კა-ლაპოტის კედელი.

სამარხი ქვევრი, რომლის პირ-ყელი და მხრების დიდი ნაწილი მდინარე-ში ჩაცვენილიყო, მოჩანდა მიწის ზედაპირიდან 1,10—1,70 მ-ით დაბლა. ქვევრსამარხიდან 7 მ-ით დასავლეთით, 1,70 მ-ის სიღრმეზე, ძლივძლივო-ბით შეინიშნებოდა ორმოსამარხი — დაშლილი ძელების ნაშთები. რად-გან სამარხებს შორის აღმოჩენილი იყო ჭურჭელი და მონეტა, საჭიროდ მივიჩნიეთ ქვევრსამარხთან და ორმოსამარხთან ერთად მათ შორის მდებარე მთელი ფართობის შესწავლაც. ამ მიზნით (მას შემდეგ, რაც ტეხური-დან შეძლებისდაგვარად სრულად ამოკრიფეთ ქვევრის ფრაგმენტები) მდინარის გაყოლებით მოვზომეთ 9 მ სიგრძისა და 3 მ სიგანის ოთხკუთ-ხედი.

• გათხრებისას ქვევრსამარხში არავითარი საგანი არ გამოვლენილა —

როგორც ჩანს მის ინვენტარს მხოლოდ და მხოლოდ გ. ხოფერიას მიერ აკრეფილი ნივთები შეადგენდნენ. ფაქტიურად არ დადასტურებულა არქეოლოგიური მასალა ქვეერსამარხსა და ორმოსამარხს შორის მდებარე ფართობზეც, სადაც მხოლოდ კერამიკის რამოდენიმე უსახო ფრაგმენტი შეგვხვდა ორმოსამარხში კი ოქროს ნყვილი საყურე და ოქროსავე ბეჭედი იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება გათხრილი ოთხკუთხედის სტრატიგრაფიულ სურათს, ის შემდეგნაირი გამოდგა: I ფენა — 55 სმ: ტიხურის მიერ დანალექი სილა, II ფენა — 55 სმ: თიხის ჭურჭლის უსახო ფრაგმენტთა უმნიშვნელო რაოდენობის შემცველი შავმიწა ნიადაგი, და ბოლოს მუქი ყვითელი-ღია ყავისფერი თიხოვანი ყამირი, რომელშიც იყო ჩატრილი სამარხები.


ახლა ცალ-ცალკე განვიხილავთ ქვეერსამარხის კომპლექსს, ორმოსამარხის კომპლექსს, და თიხის ჭურჭელსა და მონეტას. ამ უკანასკნელთა ერთად და ამავე დროს სამარხთა დონეზე დადასტურების ფაქტი, აგრეთვე ის გარემოება, რომ აღმოჩენისას ხსენებული ჭურჭელი მთელი ყოფილა, გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ნივთები რომელიღაც დანგრეული სამარხის, როგორც ჩანს ორმოსამარხის, ინვენტარსა თუ ინვენტარის ნაწილს წარმოადგენს.

ქვეერსამარხი დაფლული იყო პორიზონტულად, პირით ჩრდილოეთისაკენ. რამდენადაც სამარხში, მისი აღმომჩენის, გ. ხოფერიას სიტყვებით, მიცვალებულის ძვლები არ ყოფილა შემონახული და მხოლოდ კბილები დადასტურებულა, რომელთა ქვეერში მდებარეობის ადგილი დაუდგენელი დარჩა, ამდენად ვერაფერს ვიტყვით მიცვალებულის ორიენტირების შესახებ. ქვეერსამარხი, როგორც უკვე აღინიშნა, შეიცავდა ბეჭედს, 2 სამაჯურს, 50 მძივს და 2 მონეტას.

ქვეერს კვერცხისებური (გარსდინებადი) ფორმა აქვს, ყელი — დაბალი, ცილინდრული, გვირგვინი — მასიური, ჭრილში ოთხკუთხა, ძირი — ბრტყელი. ძირის დიამეტრია 19 სმ, კედლის სისქე უდრის 2 სმ. ზედაპირი შავია, სარჩული — ვარდისფერი, კეცი — რუხი. ყელზე ცერი ქდეებისაგან შემდგარი ორი პარალელური სარტყელი დაუყვება. მხრებზე აგრეთვე ორი პარალელური სარტყელია მოთავსებული, რომელთაგან ერთი ყელზე გამოსახულთა ანალოგიურია, მეორე კი თევზიფხურად განლაგებული ქდეებისაგან შედგება. ყელისა და მხრების სარტყლებს შორის ერთ ადგილას, ქვეერის გამონვამდე, სამოთხასებრი ნიშანია (V) დატანილი. აღწერილის ტიპის კოლხური ქვეერები ძვ. წ. III—II სს-ით თარიღდება.

ბეჭედი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. ნაკლულია — ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს. ბრტყელი და ვიწრო, 3 მმ სიფართის ოდნავ ამობურცულზედაპირიანი რკალი ზედა ნაწილში თანდათან ფართოვდება, აღწევს 6 მმ და ბეჭდის ფარაკს ქმნის. ანალოგიური ფორმის ბეჭედები აღმოჩენილია ფიჭვნარში, დაფნარში და ძვ. წ. III ს-ით თარიღდებიან.¹

სამაჯურები ბრინჯაოსია, პირხსნილი, ზურგშეზნექილი. ერთი მათგანი დამზადებულია 3 მმ დიამეტრის მრგვალ განიჯკუთიანი მავთულისა-




ქვევრსამართის ინვენტარი და მონეტა
(7) დანგრეული სამართიდან.

Инвентарь кушанского погребения
и монета (7) из разрушенного
погребения

ორმოსამართის ინვენტარი.

Инвентарь грунтового погребения.





გან. რკალის გარეთა მხარე ხუთ ადგილას შემკულია სიმეტრიულად განლაგებული ცილინდრული შესქელებებით, რომელთაგან ორი სამაჯურის ბოლოებს აგვირგვინებს, ხოლო ერთი — ზურგის შეზნექვის ადგილზეც თავსებული. შესქელებები მავთულის პერპენდიკულარული ღარებით სამსამ მონაკვეთადაა დაყოფილი. შუათანა მონაკვეთები გრავირებულია მავთულის პარალელური, ხოლო განაპირა მონაკვეთები — მავთულის პერპენდიკულარული ჭდე-ხაზებით. სამაჯურის შიგნითა დიამეტრი უდრის 3,8X 5,7 სმ, ხოლო ბოლოებს შორის მანძილი — 1,8 სმ.

აღწერილის ანალოგიური სამაჯურები აღმოჩენილია დაბლაგომის, დაფნარის, ზემო ფარცხმის, თეკლათის ქვევრსამარხებში, ფიჭვნარში, ქუთაისისა და სოხუმის მიდამოებში და ელინისტურ ხანას განეკუთვნებიან.

მეორე სამაჯური პირველის ანალოგიურია. იგი ძლიერაა დაზიანებული.

მძივები დამზადებულია მინისაგან. 32-ს არანესიერი მსხლისებრი ფორმა და კონუსური ზერელი აქვს. მათი სიგრძე უდრის 7—5 მმ-ს, უდიდესი დიამეტრი — ასევე 7—5 მმ-ს. ამ მძივებიდან 23 ყვითელი ფერისაა, 9 — შავი. 17 მძივი თითისტარისებრია, ლურჯი ფერის, მინის სიღრმეში დაფენილი თეთრი ზიგზაგებითა და კონუსური ზერელით. მათი სიგრძე უდრის 1,5—1 სმ, უდიდესი დიამეტრი — 4—5 მმ. ერთი მძივი თვალადაა. მასზე გამოსახული ორი „თვალი“ გადმოცემულია თეთრ გარსში მოთავსებული ლურჯი წრებით. მძივის დიამეტრია 1X0,8 სმ.

ზემოაღწერილთა ანალოგიური მძივები გვხვდება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ქვევრსამარხებში.

მონეტები ვერცხლისაა. ისინი ძლიერ გაცვეთილი და დაზიანებულია. ერთი მათგანის დიამეტრი უდრის 1 სმ, წონა — 0,50 გრ. მეორის დიამეტრია 1 სმ, წონა — 0,61 გრ. მართალია მონეტებზე გამოსახულება სრულიად გადასულია, მაგრამ მათი დიამეტრი და წონა გვაფიქრებინებს, რომ ისინი უნდა წარმოადგენდნენ კოლხურ თეთრებს, ნახევარდრაქმებს, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ყველა ქვევრსამარხთა სამაროვანზეა აღმოჩენილი. კოლხური თეთრი ჩნდება ძვ. წ. V ს², ხოლო გადის მიმოქცევიდან ძვ. წ. II ს.³

მივიღებთ რა მხედველობაში სამარხი ქვევრის თარიღს და აგრეთვე მის პორიზონტულ მდგომარეობას, რაც, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ძვ. წ. III—II სს. ქვევრსამარხებისათვის, ნანეფიშ ქალეს ქვევრსამარხი ძვ. წ. III—II სს-ს უნდა მიეკუთვნოს.

დანგრეული ორმოსამარხიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი ყავისფერია, ძირბრტყელი, პატარა, გამობერილი მუცლით. როგორც უკვე ითქვა, ეს ჭურჭელი ნაკლებია — მას აკლია პირი და ერთი მხრიდან ყელ-გვერდიც. ძირის დიამეტრი უდრის 8 სმ, მუცლის — 10 სმ, კედლის სისქე — 6—4 მმ. შემორჩენილ ყველაზე ზედა, ყელის მცირე მონაკვეთზე, სამი გვერდიგვერდ განლაგებული ცერი ჭდეა, რომლებიც, როგორც ჩანს, ყელზე დატანილი სარტყლის ნაწილს წარმოადგენს.

მონეტა ამავე სამარხიდან ვერცხლისაა, წარმოადგენს კოლხურ თეთრს, ნახევარდრაქმას. შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავი, ზურგზე

— ხარის. დიამეტრი უდრის 1 სმ, წონა — 1,62 გრ. კოლხური თეთრი, როგორც აღინიშნა, მიმოქცევაში იყო ძვ. წ. V—II სს-ში. სწორედ ამქრუწულს ლოგიურ ჩარჩოებში უნდა თავსდებოდეს სამარხის თარიღი. სიზღვირთუქა

ორ მოსამარხში მიცვალებულის პოზის დადგენა ჩონჩხის უკიდურესად ცუდი დაცულობის გამო ვერ მოხერხდა და მხოლოდ ის იქნა გარკვეული, რომ მიცვალებული თავით დასავლეთისაკენ დაუკრძალავთ. როგორც ზემოთაც ითქვა, სამარხში აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი და ოქროსავე წყვილი საყურე.

ბეჭდის რკალი წარმოადგენს 2 მმ დიამეტრის მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან დამზადებულ 1,8 სმ შიგნითა დიამეტრის მქონე პირხსნილ ნრისებურ რგოლს. მის დაბრტყელებულ ბოლოებზე დარჩენილია 5 მმ სიმაღლისა და 1 სმ დიამეტრის ცილინდრული, ზრტყელძირიანი თვალბუდე, რომელსაც შუანელზე წვრილი, მჭიდროდ მიჯრილი გავარსით შემკული 1 მმ სიგანის რელიეფური სარტყელი დაუყვება. ბეჭდის თვალი არ არის შემორჩენილი — თვალბუდეში მხოლოდ თვალის საყრდენად გამოყენებული ლურჯი პასტის რგოლიდაა ჩარჩენილი. რკალის გვერდებზე, თვალბუდის აქეთ-იქიდან, სწორკუთხადაა განლაგებული 2 მმ-ის დიამეტრის 4 ბურთულა (კოპი), რომელთაგან თითოეული ერთდროულად მიჩრჩილულია რკალზე და თვალბუდის ძირზეც. ბეჭდის სიმაღლე უდრის 2,5 სმ, წონა — 4,47 გრ.

ბურთულებით ანუ კოპებით შემკული ბეჭდები იხმარებოდა III ს-ის II ნახევრიდან VIII ს-მდე. ისინი აღმოჩენილია არმაზისხევის, სამთავროს, ურბნისის, ზღუდრის, არაგვისპირის, ქუშანანთგორის სამარხებში, რომელთაგან არაერთში პიტიახშთა თუ ერისთავთა რანგის მიცვალებულები არიან დაკრძალულნი. ჩვენი ბეჭდის მსგავსი ბურთულებით შემკული ბეჭდები — ბოლოებდაბრტყელებულ რკალზე დარჩილული თვალბუდით, — ძირითადად III ს-ის II ნახევრით — IV ს-ით თარიღდებიან.⁴

საყურები აბსოლუტურად ერთნაირია: 1,5 მმ-ის სისქის ოთხნახნაგა მავთულისაგან დამზადებულ ოვალურ პირხსნილ ყურსაკიდ რგოლზე ქვემოდან, რგოლის ბოლოდან 1,2 სმ-ის დაშორებით, მიჩრჩილულია 1 მმ-ის დიამეტრის მრგვალგანიკვეთიანი 8 მმ-ის სიგრძის მოკაუჭებულგადაგრეხილბოლოიანი შვეული ღერძაკი, რომელზეც წამოცმულია და თავისუფლად მოძრაობს ორი 6—7 ფურცლიანი ბრტყელი, 3 მმ-ის დიამეტრის ვარდული. საყურეთა სიგრძე უდრის 3 სმ. ერთის ყურსაკიდი რგოლის გარეთა დიამეტრია 2,3X2 სმ, მეორის — 2,2X2,1 სმ. პირველი საყურის წონა უდრის 2,04 გრ-ს, მეორის — 2,07 გრ-ს.

აღწერილი საყურეები განეკუთვნებიან რგოლოვან-ღეროვან ტიპს. ჩვენი საყურეების ანალოგიური რგოლოვან-ღეროვანი საყურეები — ყურსაკიდ რგოლზე მიჩრჩილული ღერძაკით, რომელზეც ასხმულია ვარდულები და მძივები⁵, — აღმოჩენილია არმაზისხევაში, ერისთავთა № 2 III ს-ის II ნახევრის სამარხში და № 40 IV ს-ის მდიდრულ სამარხში⁶, აგრეთვე ზღუდრის III ს-ის შუახანებზე მოგვიანო დროისად მიჩნეულ № 2 ხის სარკოფაგში.⁷ ამგვარივე უნდა იყოს ურბნისის IV ს-ის № 11 ხის სარკოფაგში⁸ და არაგვისპირის III ს-ის მიწურულის — IV ს-ის დასაწყისის (თუ პირველი



ნახევრის) № 9 სამარხში⁹ გამოვლენილი საყურეებიც. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოხსენებულ სამარხში ბურთულებით შემკული ბეჭდებიცაა და დასტურებული. ჩვენს დაკვირვებას ყურსაყიდ რგოლზე ლერძაქმირჩილი საყურეების ყოველთვის ბურთულებით შემკულ ბეჭდებთან ერთად აღმოჩენის შესახებ, როგორც ვნახეთ, ნანეფიშ ქალეს ორმოსამარხის ინვენტარის შემადგენლობაც არ აბათილებს.

ნანეფიშ ქალეს ორმოსამარხი მასში გამოვლენილი ზემოგანხილული სამკაულის საფუძველზე III ს-ის II ნახევრით — IV ს-ით თარიღდება (თუმცა კი კომპლექსის რამდენადმე მოგვიანო ხანით დათარიღებაც არ უნდა იყოს გამორიცხული).

ნანეფიშ ქალეში აღმოჩენილი სამარხები, როგორც ჩანს, წარმოადგენენ სამაროვნის ნაწილს, რომელიც მოქმედებდა სულ ცოტა ძვ. წ. III (თუ II) და ახ. წ. III (თუ IV) სს-ში. ცენტრალურ კოლხეთში კი როგორც ელინისტურ ისე გვიანანტიკურ სამარხთა შემცველი სამაროვანი, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ნოქალაქევის სამაროვანია.¹⁰ ნანეფიშ ქალეს სამაროვანზე დადასტურებულ სხვა საინტერესო გარემოებებზეც (მაგ. ოქროს სამკაულის შემცველი საკმაოდ მდიდრული სამარხის გამოვლენა) რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ აღნიშნულიც უთუოდ საკმარისია იმისათვის, რათა ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მხიშველოვან, საგანგებო შესწავლის ობიექტად მივიჩნიოთ.

დასასრულ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ნანეფიშ ქალეს სამაროვანს რომელსაც სისტემატურად რეცხავს მდ. ტეხურა განადგურება ემუქრება. ამიტომაც მისი შესწავლა რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს.

1 მ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ. წ. V—III სს. საბეჭდო-ბეჭდები (ბერძნულ სახელწოდებებთან ურთიერთობის საკითხი), თბილისი, 1975, გვ. 31, 70, 71, სურ. 5, ტაბ. X, 33; X, 37.

2 Г. А. Лордкипანიдзе. Колхида в VI—II вв. до н. э. Тбилиси, 1978, стр. 116.

3 ვ. გვინიძე, ნოქალაქევის ქვეყნსამარხები, — მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1979, გვ. 161, 166.

4 ნ. აფხაზაძე, ადრეული შუააუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სიეთიერი კულტურა, არქეოლოგიური ქრონოლოგიის საკითხები სამკაულის მხედველთ, თბილისი, 1979, გვ. 97.

5 შივი თუ შივიები თავის დროზე ჩვენი საყურეების ლერძაქმებზეც უნდა ყოფილიყო ასევე და ვარდულებს შორის მოთავსებული.

6 ა. აფაქიძე, ვ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, ვ. ლომთათიძე, მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1946 წწ. განთხარის მხედველთ, თბილისი, 1955, გვ. 43, 112—113, სურ. 138, 3. ტაბ. XLIII, 4; XLVI, 4; C, 1, 2.

7 ვ. ნემსაძე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, — საქართველოს სხელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965—1967 წწ. ანგარიშები), თბილისი, 1969, გვ. 48, ტაბ. IV, სურ. 7.

8 ლ. ტილაშვილი, ნქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, 1964, გვ. 69, სურ. 34,9.

9 Г. М. Рамишвили. Новые открытия на новостройках Арагвского ущелья. — Краткие сообщения Института археологии АН СССР, Вып. 151, Античные памятники Колхиды и Иберии, стр. 116, рис. 2, 1.

10 Г. О. Гвинчидзе. Нововывяленный некрополь древней столицы Западной Грузии Цихе-Годжи — Археополиса (Экспресс—информация). Тб., 1978.

**კავთისხევის ციხიანობაზე აღმოჩენილი ზიარსხულიანი
ხარების ქანდაკების სემანტიკური გაგებისათვის**

კასპის რაიონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ცქიტიშვილი) 1974 წელს სოფელ კავთისხევის ტერიტორიაზე მდებარე „ციხიანობას“ ანტიკური ხანის სატაძრო კომპლექსის გათხრების დროს № 10 ოთახში გამოავლინა ზიარსხულიანი ხარების კირქვის ქანდაკება, რომელიც მიჩნეულია კაპიტელად¹. იგი ანალოგიას პოულობს აქემენიდური ხანის სპარსეთის ქალაქების პერსეპოლისისა და სუზას სასახლეში აღმოჩენილ კაპიტელებთან. აღნიშნული ძეგლის აღმოჩენამ სხვა მასალებთან ერთად ახლებურად დააყენა ქართველი ტომების აქემენიდური ხანის სპარსეთთან ურთიერთობის საკითხი, კერძოდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართლი — იბერია სპარსეთის XVIII სატრაპიაში შემაჯალ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა არტარქსერქსე I-ის (ძვ. 462—424 წწ) მეფობის ხანიდან².

უკანასკნელ ხანს არქეოლოგმა ი. გაგოშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კავთისხევის ციხიანობაზე აღმოჩენილი აქემენიდური ტიპის კირქვის სვეტის თავი, მოზერების ორმაგ პროტომას წარმოადგენს. მაგრამ იგი გახსხვავდება რეალური თუ ფანტასტიკური ცხოველების ყველა ანალოგიური ირანული კაპიტელებისაგან. კავთისხეური მოზერები (ი. გ.) მშვიდი და საყვარელი მოჩოლებია, რომლებიც ერთგვარი გაცივებთაც კი შემოგვეურებენ და არა მძვინვარე მხეცები, რომლებიც ცნობილია სუზასა და პერსეპოლისის სასახლეებიდან და მათი დანიშნულება აქემენიდთა მსოფლიო იმპერიის ურყევი ძლიერების პროკლამაცია იყო. მასვე შესაძლებლად მიიჩნია, კავთისხეური კაპიტელის მეორადი გამოყენება საკურთხეველად. ციხიანობას კომპლექსს იგი ცეცხლის კულტზე აგებულ ტაძრად მიიჩნევს და ამიტომ მისი აზრით გასაგებია აქ აქემენიდური ტიპის სვეტის თავის აღმოჩენა³. ქანდაკების სემანტიკურმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ციხიანობას მოზერების ორმაგ პროტომას არავითარი საერთო არა აქვს კაპიტელთან, რადგან ქანდაკების ზედა ნაწილი (ზურგი) არ შეესაბამება კაპიტელისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს. გარდა ამისა სპარსეთში აღმოჩენილი სვეტისთავები ზრდადასრულებულ ხარებს წარმოადგენენ. მათი დიდი რქები მიგვანიშნებენ აქემენიდთა ძლიერებასა და მრისხანებაზე. ციხიანობის ხარების პოზა უფრო სხანაირია. მკერდისაკენ მკვეთრად დახრილი ყბა, თავი წინ წამოწეული პატარა რქებით, მზარდი ხარის შინაგანი ძლიერების გადმოცემას ემსახურება. ამასთანავე ციხიანობას ხარების ორმაგი პროტომა არ ატარებს მისი მეორადი გამოყენებისა თუ გადაკეთების ნიშანს. იგი როგორც ჩანს, თავიდანვე გამიზნული იყო ღვთაებად.

ციხიანობაზე ხარის დამსხვრეული სკულპტურა აღმოჩენილ იქნა კომპლექსის უკანა მხარეზე არსებული ტალანის ფორმის მქონე (18×4,5 მ) ოთახის ჩრდილო დასავლეთ კუთხეში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ პედესტალი ან სვეტის მსგავსი ნაგებობის ნაშთი, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა მისი აქ დგომა, ოთახში არ დადასტურებულია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სკულპტურა თავის დროზე უნდა



მდგარიყო სატაძრო კომპლექსის წინ მდებარე ეზოში არსებულ 2 მ სიმაღლის კვარცხლბეკზე. ეს უკახასკნელი წარმოადგენს ქვის შორალი ნყობით საგებ კვადრატულ სვეტს რომელიც აღმართულია ცესტრალური დონაპირის შესასვლელის ხიხ. ჩვენი ვარაუდს სკულპტურის თავდაპირველი ადგილმდებარეობის შესახებ აძაგრებს ერთი საგულისხმო ფაქტი. საქმე შეედეგშია: სვეტი — კვარცხლბეკის აქვეა ძოვდისი ზომა და თიხისხეულიანი ხაოების ქაიდაკების სიგრძე ურთიერთს ეთხვევა. ეს ზომები ასეთია: 1,6მ=1,6მ მ.

აქვე გვინდა ავესიხთო, რომ აღიიხული სვეტის თავზე და მის გარშემო ცეცხლის ან რაიშე სხვა საკულტო ნიხის კვალა არაა ფიქსირებული. თუ კი ხარების სკულპტურული გამოსახულება მართლაც იდგა ჩვენს შვირ მითითებულ ადგილზე, იამის რაა უხდა გათენჯია მისი მოსველია ძირითადი საკულტო დარააზის უკან? აქ, ვფიქროით, ერთი შესაძლეილობის დაშვება შეიძლება. მტრის ბეძოსევის საფრთხის შოახლოებისას საკულტო გამოსახულება, ჩასს სასწრაფოდ შოხსეს თავისი ადგილიდან და გადასალვის მიზნით შეიტახეს იმ ოთახიი, სადაც იგი ამჟამად აღმოჩნდა.

ამჯერად გვიხდა ბევეზოთ საკითხს იმის შესახებ, თუ რას უხდა შვირცავდეს ზიარსხეულიანი ხარების (იბოების) ქახდაკეაა სესახტიკურად, რისთვისაც დაგვეყოლება მციოეოდენი ექსკურსია ბველი შუაშდინარეთის რელიგიული აახთოხის სტრუქტურაიი.

შუაშდინარული ეპოსის ბიხევეით დედამინის ლეთება ენქი შეეგება განთიადზე მარდუქის გამოჩენას, აპსუს სიღრმიდათ, რომელიც, შესაძლოა, მისი დედის საბოა ახ ქვესკელია. ბიხი ლეერთი შოოდუქის საბით ამოდის, იგი უბივერსალური ლეთაეიის შაქამის კოსმოგონიური შიპოსტასია, მისი სახელი ამარ უთუ შუმერულად „მზის ხბოს“ ნიშნავს. კოსმონური შზე თავის პირველ ამოსვლამდე წინასწარ გზავნის ნაშვირს — ხბოს, რომელიც განასახიერებს მის სიჭაბუკეს. იგი მზარდია, მას ვერავითარი ძალა ვერ ბეზლუდავს. ამოდის ამოშავალი, დაულლეიი შზე, ყოველ დილით მაგიურ ალიტერაციული დაძახილით — მარ შამში, შამშუ შაქა მე „შეო შხისა, მზეო ცისა“.

შუმერული პიკტოგრამებით მზის ზომორფული ამოსვლა გამოისახება ბეშდგეხაირად: სეემატურად დახატულია ოსელი, რომლის თავზე ხაყოფის ბეა ამოზრდილი. ოსელის ურთიეთსანინაალბდეგო მზარზე თავი ავეთ გამოყოფილი ხბოებს. სახლი-ბოსელი მათთვის ზიარისხეულია. ზოგჯერ ბზე გამოსახულია ზიარსხეულიანი ხარების სახით, მათ ბეძოთ კი ბიო შებლავის პორიზონტს¹.

საყოველთაოდ ცნობილია შუმერულ-აქადური რელიგიური პანთეონის გავლება და გავრცელება მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ელამის ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივ ლეთაეიითან ერთად თავყანს სცემდნენ შაქამს, სისს, იბთარს და სხვა. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეში ელამის ტერიტორიაზე დასახლებული ირანული შოდგომის ტომები განიცდიან, როგორც შუაშდინარულ ლეთაებათა, ისე სხვა კულტურულ გავლენას.

აქემენიდურ ხანაში სპარსეთის სამეფო კარზე თავყანს სცემდნენ აპურამაზდას კულტს. ავესტას მიხედვით იგი სათავეში უდგას კეთილ სულებს და ებრძვის ბოროტ ძალებს, კერძოდ დევეებს და მათ წინააშოდლოა ანგრო-მანიუსს. მიჩნეულია, რომ აპურამაზდა, ანგრო-მანიუსი და დევი ძველი სატომო ლეთაებებია, ამათგან დევეები მომთაბარე ტომების, ხოლო აპურამაზდა ბინადარი, მიწათმოქმედი ტომებისა. პირველი აქემენიდების კიროსის, კამბისის, დარიოსისა და ქსერქსეს დროს აღიარებდნენ მხოლოდ



ზიარსხელიანი ხატების ქანდაკება.

Скульптура быков с единым туловищем.

აპურამაზდას კულტს. ამასთანავე არ უგულებელყოფდნენ სხვა დამორჩილებულ ხალხთა ღვთაებებსაც. აღნიშნული მეფეები აპურამაზდას შემდეგ ყველაზე მეტ პატივს სოაგებდნენ ბაბილონელთა შზის ღვთაებას მარდუქს, ისინი ბაბილონის მეფობის ინვენსტიტურას მარდუქის ხელიდან იღებდნენ. შესაძლებელია ბაბილონელთა მთავარი ღვთაების — მზის ღმერთის აღიარებამ და მისი აქემენიდური სამეფო ხელისუფლების დამცველის როლში აყვანამ, გარკვეულად შეავიწროვა ირანელ მოსახლეობაში ყველაზე პოპულარული, მზის ღვთაება მითრა, რომელსაც სანყისი ძველ ინდურ-ვედურ რელიგიაში აქვს. მითრა მზეჭაბუკია, რომელიც იცავს კაცობრიობას ბოროტებისაგან და მისი შემწეობით საბოლოოდ სიკეთე ზეიმობს. როგორც ვხედავთ მითრა თავის შინაარსით მარდუქის ორეულია. სავსებით დასაშვებია, რომ სპარსეთის სამეფო კარზე მითრამ განიცადა მარდუქის გავლენა. ასეთი გავლენისათვის რაიმე დაბრკოლება არ არსებობდა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ორივე ამ ღვთაებას ურთიერთანალოგიური წარმოშობა გააჩნიათ: ავესტას მიხედვით მითრა აპურამაზდას ჰიპოსტასია, ხოლო მარდუქი შუმერული ღვთაების უთუს, იგივე შამაშის შვილია.

ძვ. წ. 480 წლიდან ქსერქსეს მიერ ბაბილონის სამეფოს გაუქმების, ესაგილის ტაძრიდან მარდუქის ქანდაკების გამოტანისა და დამცირების შემდეგ თანდათანობით ადგილი აქვს აპურამაზდასთან ერთად ადგილობრივი ღვთაებების მითრასა და ენაპიტას კულტების ხელისუფლების დამცველად გამოცხადებას, რაც იურიდიულად გაფორმდა არტარქსერქსე II-ის



(ძვ. წ. 405-358 წწ) დროს. იგი დაპყრობილ ქვეყნებში აპურამაზდას კულტურის ერთად სავალდებულოდ აცხადებს ანაჰიტასა და მითრას კულტებს, ხოლო ბოროტ სულეაში — დევებში გავრთიხებულ იქნა დაპყრობილ ხალხებისა და ტომთა ღვთაებები.

ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი აქვს სპარსული კულტურის ელემენტების შემოსვლას. ეს დასტურდება ყაზიევის, ახალგორის, წინწყაროს, ვანის მდიდრული ინვენტარის შემცველი მასალებით, როგორცაა თასები, ზურგმჯუნჯილი სამაჯურები, დიადემები და სხვა. თუმცა აღნიშნული ნივთების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოებისაა, მაგრამ მათშიც სპარსული ხელოვნებისა და კულტურის დიდი მოწანილობა უცილობელია. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სპარსული მეთუნეობის ნიმუშების, კერძოდ, ჩაინისებური ხელაფების, ძირწვეტიანი ქილების, ქვის ჯამებისა და ირახული ხელოვნების სხვა ნიმუშის გავრცელება საქართველოში. ძეინიშნება სპარსულ-ასურული არქიტექტურული დეტალების დამონშევა. ეს ვლინდება ციხი-აგორის სატაძრო კომპლექსის აღმოსავლეთ მხარეზე, ვალავის გარეთ, აღიზით ნაგები ოთხკუთხა კოშკების მაგალითზე. როგორც დავინახეთ აღნიშნული ფაქტები ნათელს ხდის სპარსული კულტურის გავრცელებას აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადოების ყველა ფეხაში და ცხოვრების ყველა სფეროში. საერთო მოვლენებთხ ერთად, ჩახს, ადგილი ჰქონდა სპარსული ღვთაებისა და, კერძოდ, მითრას კულტურის გავრცელებას იბერია-ქართლის ტერიტორიაზე. ამის ნათელ მაგალითს, ჩვენის აზრით, ირანელ ღვთაებათა სახელზე აგებული საკულტო ცენტრი — ციხი-აგორას სატაძრო კომპლექსი წარმოადგენს, სადაც აღმოჩენილ იქნა ზიარსხეულიანი ხარების (ხბოების) ქანდაკება. იგი როგორც სკულპტურული ნამუშევარი, ზოგადად ჰგავს სუზაში აღმოჩენილ კაპიტლებს, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება მათგან. ჩვენ ვთვლით, რომ ციხი-აგორას ზიარსხეულიანი ხარების (ხბოების) ქანდაკების მთავარი დანიშნულება იყო მითრას კულტის შინაარსის ზომორფული გადმოცემა რომელსაც საფუძელად დაედო ღვთაება მარდუქის ერთ-ერთი ბაბილონური გამოსახულება ზიარსხეულიანი ხარების სახით.

აღნიშნული საკულტო ძეგლი და სხვა მასალები, რომელიც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვთქვათ მოსაზრება აქემენიდური სპარსეთის ხელდებისა და ქართლ-იბერიის ტერიტორიაზე ძვ. წ. V საუკუნეში, კერძოდ, არტარქსერქსე I-ის (ძვ. წ. 462-424 წწ) მეფობის ხანაში. აღნიშნულმა ფაქტმა თავისი ასახვა პოვა „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულ ბარამ ანუ ბაამან არდაშირის — არტარქსერქსე I-ის შესახებ ცნობაში, სადაც ნათქვამია: „მაშინ ქართველნი მოხარკე იყვნენ მისდავე“⁶. მითრას კულტის გავრცელება იბერიის ტერიტორიაზე მოსალოდნელია სწორედ ძვ. წ. 405-358 წლებში არტარქსერქსე II-ის დროს. როდესაც აპურამაზდასა და ანაჰიტასთან ერთად სავალდებულოდ გამოცხადდა მითრას კულტის გავრცელება დაპყრობილ ქვეყნებში, ხოლო ადგილობრივი ღვთაებები ბოროტ სულთან — დევებთან იყვნენ გაიგივებული და დამზობილი. საყურადღებო ფაქტია, რომ ციხი-აგორის სატაძრო კომპლექსის აშენების თარიღი ემთხვევა, არტარქსერქსე II-ის მიერ გატარებულ რელიგიურ რეფორმას და ამასთანავე საინტერესოა ის გარემოება, რომ ციხი-აგორასთან დაკავშირებით ხალხში შემდეგი გადმოცემა შემორჩენილია: „ციხი-აგორაზე მინაში დევები ჰყავთ დაბმული“, ვფიქრობთ, დევებში ადგილობრივი ღვთაებებია საგულეებელი, ხოლო მათზე გაბატონებულია მითრას კულტი.

აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში, საყურადღებოა სამადლოს

არქეოლოგიური კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში (სამადლო TII) და მონმებული ოთხკუთხა კოშკისებური ნაგებობა, რომელსაც არქეოლოგი ი. გაგოშიძე ძვ. წ. VI-IV სს. ათარილებს. იგი მას აქემენიდური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ გამოხატულებად მიაჩნია ჩვენს ქვეყანაში. მისი შიძის მიერ განსაზღვრული იქნა ოთხკუთხა კოშკისებური ნაგებობის ფუნქცია, რომ იგი წარმოადგენს ირანული არელიგიის „ცეცხლის მსახურების ადგილს“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის XVIII სატრაპიაში გაერთიანდა არტარქსერქსე II-ის დროიდან და უჭეველია ამ დროიდან უნდა შექმნილიყო სამადლოს ოთხკუთხა კოშკისებური ნაგებობა „ცეცხლის კულტის მსახურების ადგილი, რაც სავსებით ბუნებრივია წინ უნდა უსწრებდეს აქემენიდების (არტარქსერქსე II-ის დროს) მიერ მითრას ღვთაებრიობის რესტავრაციის სახელმწიფოებრივ დოხეზე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სპარსეთის იმპერიამ აქემენიდების ხანაში შექმნა ადრე სრულიად უცნობი, ფართო სავაჭრო და პოლიტიკური სისტემა, რამაც გამოიწვია მახლობელი აღმოსავლეთისა და მის პერიფერიებში, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების სავაჭრო-ეკონომიკური დანიშნაურება. ადგილობრივი სამომოსვლო გზების სპარსეთის სავაჭრო-საერთაშორისო გზების სისტემაში წართვა. ამას შედეგად მოჰყვა ქვეყნის მმართველობის სისტემის „ხევის ინსტიტუტის“ უარყოფა, მისი ეკონომიკური საფუძვლის დროებით შეჩერება. ყოველივე ამან განსაზღვრა ახალ სავაჭრო გზებზე, კერძოდ მტკვრის ხეობაში, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღმოცენება.⁷

¹ Г. Цытншвили, Результаты работ на «цыхна-гора». Полевые археологические исследования в 1974 г. Тб., 1976, стр. 61.

² ჯ. გვეტაძე, წითელკაციანი ღვრამიკის ვაჩენის შესახებ საქართველოში, სისტორიო კრებული VII თბ. 1977, გვ. 313-315. შ. დ. რ. Г. Цытншвили, Результаты работ на «цыхна-гора» (1971--74 гг.). Краткие сообщения 151, Античные памятники Колхиды и Иберия М., 1977, стр. 87.

³ ი. გაგოშიძე, დედოფლის მინდერის სატაძრო კომპლექსის 1976-1977 წ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები VI თბ. 1978, გვ. 66. ციხიაგორისა და ტაძრის ეზოში მდებარე კვარცხლბეკის ცეცხლის ღვთაების ადგილად მიჩნევა უფრო ადრე გამოთქმული იყო ძეგლის არქეოლოგიური შესწავლის ხელმძღვანელის გ. ცქიტიშვილის მიერ.

⁴ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ. 1976, გვ. 88-90.

⁵ დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა თბ., 1978, გვ. 90-95

⁶ ჯ. გვეტაძე დასახ. ნაშრომი, გვ. 313. ქართლის ცხოვრება. გვ. 16.

⁷ ჯ. გვეტაძე დასახ. ნაშრომი გვ. 315; ხევი, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ერთეული არ ისაობა მისი კონსერვატიული ბუნების გამო და დიდხანს ინარჩუნებს თავის საფუძვლებს. მან ანტიკური ხანის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების მოშლის შემდეგ კვლავ იჩინა თავი და შექმნა ფეოდალური ურთიერთობის (კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის) საფუძველი.

ჯაჭვისწყლის ხაოზა

თბილისიდან მცხეთისაკენ მიმავალ მგზავრს არ შეიძლება მსუდველოზიდან გამორჩეს ავჭალის თავზე, მალად გორაკზე აღმართული ერთნავიანი ბაზილიკური ნაგებობა, რომელსაც დღეს „პეტრე მოციქულის“ სახელწოდებით იცნობენ.

კულტურის ეს ძეგლი ნაგებია დულაბზე ფლეთილი ქვით. გადახურვა თალისებურია და აგრეთვე შესრულებულია შედულაბებული ქვით. დიდი ხნის წინათ ჩატარებული ნაწილობრივი რესტავრაციის დროს გამოუყენებიათ ქართული აგური, ძირითადად კი ეკლესია პირვანდელი სახითაა შემონახული. საყდარს 77 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს, სიმაღლე კი ათიოდე მეტრს აღწევს. შესასვლელი კარი აქვს სამხრეთიდან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან დატანებულია სარკმელები, საკურთხეველთან ორი ნიშა. როგორც ჩანს ძეგლი თავის დროზე ეროვნულ საქმესაც ემსახურებოდა. ამას მონშობს ჭერსა და სახურავს შორის დიდი კონსპირაციულობით ნაგები, ორ მეტრზე მეტი სიმაღლის „სამალავი“, რომელიც ჭერისა და სახურავის მთელ სივრცეს მოიცავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძნელბედობის ფაშს ამ სამალავში თავს აფარებდნენ არა მარტო საეკლესიო მოღვაწენი, არამედ იგი ძირითადად ეროვნული განძის შენახვა-გადარჩენის საქმესაც ემსახურებოდა.

აი რა მოგვითხრეს ამ უძველესი ისტორიული ძეგლის შესახებ ავჭალის უხუცესმა მცხოვრებლებმა: „საყდარში ისტორიულ პირთა სამარხი არსებობდა ზედნარწერილი საფლავის ქვებით, მაგრამ, ამ ორმოციოდე წლის წინათ იგი გადათხარეს და მიცვალებულთა ძვლები ამოყარეს. სახურავიც მაშინ შეანგრის ნადავლის მოპოვების მიზნით და საფლავის ქვები კი მშენებლობისათვის დაიტაცესო“. ხალხის ობიექტური გადმოცემის ნიშნად ადგილზე დაგვხვდა წასაღებად გამზადებული ერთადერთი საფლავის ქვა ასეთი წარწერით: „ესე საფლავი ბერიტაშვილი გაბრიელი-სი. მხილველნო შენდობა ბჰანეთ ჩყლ.“ ეს ქართული ქრონიკონით ნიშნავს 1830 წელს. სამწუხაროდ, როცა „პეტრე მოციქულის“ ისტორიული ძეგლი ერთი თვის შემდეგ კვლავ მოვინახულეთ, საფლავის ქვა იქ აღარ დაგვხვდა.

საყდარს ჩრდილო აღმოსავლეთიდან ჩამოუდის მანიაანთ კარის ქედიდან გამომდინარე მდ. ჯაჭვისწყალი მტკვრის მარცხენა შენაკადი. მდინარის ზედანელის მარცხენა სანაპიროს შემალლებულ ფერდობზე დგას ასევე უძველესი ხანისა და იგივე არქიტექტურული სტილით ნაგები „აქლემაანთ საყდარი“. როგორც ჩანს, „აქლემაანი“ საყდრის ამშენებელ გვარეულობათა ზედმეტი სახელია. საყდარი რამდენიმე ათეული წლის წინათ ძირს დაწულა, თითქმის ორ მეტრამდე. საყდრის სახურავი და კედლები ძლიერ დაზიანებულია.



„ქელეშანთ საეღარი“
ჭაჭუისწყლის ზეობაში.

პეტრე მოციქულის საეღარი.
(სამხრეთის ხედი).

Памятники в ущелье Джачин-
цкали.





ჯაჭვისწყლის ხეობაში უამრავი სხვა მიკროტოპონიმებიც გვხვდება, მაგ: ჩაღლები, ხურჯინები, ნაბაკრები, ლეკის ბილიკი, ჭრიქიანთ წყარო და სხვა.

სავარაუდოა, რომ მდ. ჯაჭვისწყლის სახელწოდება დაკავშირებულია ამ ტერიტორიაზე მდებარე უძველესი ნასოფლარის — „ჯაჭვის“ სახელთან. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ეს სოფელი არსებობდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. ნარსულში ჯაჭვი არაერთხელ გამხდარა საბრძოლო ასპარეზად. იგი ორჯერაა მოხსენებული „ქართლის ცხოვრებაში“. ეს სოფელი პირველად ნახსენები აქვს ცნობილ ქართველ მემკვიდრეებს ლეონტი მროველს. ეხება რა მეფე ფარსმან ქველისა და მეფე მირდატის ბრძოლის ამბებს, იგი მოგვითხრობს: „მოვიდა მირდატ და დადგა ჯაჭუს, და ეგრეთ ყოველთა დღეთა იბრძოდიან ბუმბერაზნი“. (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 52). ლეონტი მროველი სხვაგანაც იხსენიებს ამ სოფელს, კერძოდ კი V ს. ერთ-ერთ ისტორიულ ამბავთან — ვახტანგ გორგასალისა და სპარსეთის მეფეს შორის დაზავების აქტთან დაკავშირებით. მაშინ ქართველთა სახელოვან მეფესა და მთავარსარდალს თავისი მხედრონი დაბანაკებული ჰყოლია სოფელ ჯაჭვთან. „...მეფე ვახტანგ დადგა ჯაჭუს, და შეკრბეს მასვე ველსა ორივე მეფენი“. (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 181). როგორც ჩანს, იმდროისათვის ჯაჭვი ძველი დედაქალაქის მცხეთის მნიშვნელოვან ფორპოსტს წარმოადგენდა.

კახეთის მეფის დავით იმამ ყული ხანის მიერ 1722 წელს მარტყოფის მონასტრის სახელზე გაცემულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელსაც „ღმრთაების გუჯარი“ ჰქვია, რამდენჯერმეა ნახსენები სოფელი ჯაჭვი, უფრო ზუსტად ჯაჭვნი. შესაძლოა სოფლის სახელწოდება ეტიმოლოგიურად უკავშირდებოდეს სიტყვა ჯაჭვს და წარმოდგებოდეს მისი დასახლებების განლაგების ფორმისაგან (აღბათ რამდენიმე დასახლებული პუნქტი ჯაჭვის რგოლებივით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული), ხოლო ჯაჭვნი კრებითი სახელი უნდა იყოს ისევე, როგორც ლილონი (როგორც ცნობილია შუა საუკუნეებში არსებობდა რამდენიმე ლილო: შავრობის ლილო, დიდი ლილო, ბაგრატას ლილო და სხვა).

სოფელი ჯაჭვი XIV ს. მეორე ნახევრიდან, კერძოდ კი 1392 წლიდან, მცხეთის საეკლესიო მამულად ითვლება. 1438 წელს ამ სოფელს მეფე ალექსანდრე კვლავ უმტკიცებს მცხეთის საყდარს, ქართლის პატრიარქმა 1532 წელს კახეთის მეფე ლევანის ნაბოძები სიგელით, სოფელი ჯაჭვი კვლავ მცხეთის საეკლესიო მამულს მიაკუთვნა. ამ სოფელს ხშირად ეცვლებოდა პატრონი. ეს კარგად ჩანს „ღმრთაების გუჯარიდანაც“, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ „ლილონი, გლდანი და ჯაჭვნი ანგარებით და მძღავრებით მიეტაცათ ქართლისა კათალიკოზთა და თბილელთა. ვითარნედ ასე იუნწყეთ: რაოდენ ესე ეკლესია აღუმართებიათ მეფეთა მასვე ჟამსა ესე სამწყოსონი ღმრთაების საყდრისა არის“.

სოფელი ჯაჭვი ლეკთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად განადგურდა XVIII ს. ოციან წლებში.

აღსანიშნავია, რომ ძველ წყაროებში ჯაჭვის საყდრის სახელწოდებით მოიხსენიებოდა აგრეთვე შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი ჯვრის მო-

ნასტერი. ამ ძეგლის მხილველი გერმანელი მეცნიერი მოგზაური აკადემი-
კოსი გიულდენშტედტი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ „არაგვის მარჯვენა
ანუ აღმოსავლეთ მხარეს მთის ყველაზე მაღალ ადგილას ჩანს ძველი
ლი მონასტერი ჯაჭვის საყდარი (იგულისხმება ჯერის მონასტერი), ე. ი.
ჯავშან ეკლესია. არსებობს ლეგენდა რომ მისი კოშკიდან გაჭიმული იყო
ჯაჭვი მცხეთის კოშკამდე, რის მეშვეობითაც წმინდანები ერთმანეთს ეს-
ტუმრებოდნენ ხოლმე. აქედან არის მისი სახელწოდებაც“. ლეგენდის მი-
ხედვით მონასტერს სახელი შეეცვალა მას შემდეგ, რაც ბერი ნაწყმდა და
ჯაჭვის ხიდი ჩაიქცა არაგვის ზვირთებში.

ზოგჯერ, ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები ისტორიული ძე-
გლების შეფასებისას ანგარიშს უწევენ მხოლოდ არქიტექტურასა და ფრეს-
კულ მხატვრობას, ხოლო თუ ამ მხრივ არ გამოირჩევა იგი ყურადღებას
არ აქცევენ მაინცა და მაინც ძეგლის სიძველესა და მის ისტორიულ როლს.
ეს ითქმის უპირველეს ყოვლისა „პეტრე მოციქულის“ საყდრის შესახებ,
რომელიც ამჟამად სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული და სასწრა-
ფო რესტავრაციას მოითხოვს.

ქრისტიანობის ღრმინდელი ერთი ძაბლი ინსუპითი

კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთის კალთებზე სხვადასხვა პერიოდის მატერიალური კულტურის უამრავ ძეგლს მოუღწევია დღემდე. მათგან გარკვეული რიგის ძეგლებს მკვლევართა უმეტესობა ქრისტიანული რელიგიის წარმონაქმნად თვლის. ამ მხრივ გამონაკლისს არც ინგუშეთი წარმოადგენს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამ რეგიონში მიკვლევულ იქნა ქრისტიანობის არსებობის დამადასტურებელი ფაქტები და აღწერილი იქნა კიდევ რამდენიმე ძეგლი.

ქრისტიანობის გავრცელებას მოსახლეობის რელიგიოზურ აზროვნებაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ადამიანის ფსიქოლოგიაზე ზემოქმედება, რათა მისი მიმართულება წარმართული ფორმიდან ახალი „ეთიკური“ სარწმუნოების ფორმისაკენ მოექცია. ცხადია, ახალ მოვლენას ძველის ცალკეული ელემენტების ასიმილირება უნდა მოეხდინა, ამასთან ეს პროცესები საკულტო ძეგლების განვითარებასაც დაამჩნევდა გარკვეულ კვალს. ამჟამად ძალზე ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი ვითარება იყო ამ მხრივ შუა საუკუნეების ინგუშეთში რაც შეეხება XIX ს. ამ რეგიონში ნამყოფი თითქმის ყველა მოგზაური თუ მკვლევარი თვლიდა, რომ ინგუშების ნაწილი გარეგნულად აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას!


წინამდებარე წერილში წარმოდგენილია ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი ძეგლი, რომელიც მდებარეობს მდინარე ასის ერთ-ერთი პატარა შენაკადის სათავესთან სოფელ ყართში. აღნიშნული სოფელი სამანქანო გზიდან, რომელიც არმხის ხეობის სოფელ ხულამდე ადის, 17 კილომეტრითაა დაცილებული.

ძეგლი სოფლის ჩრდილოეთით, საკმაოდ მაღალი გორაკის თავზეა აგებული. როგორც ჩანს, ქრისტიანული საკულტო ძეგლი აგებულია ისეთ ადგილას, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს წმინდად შიაჩნდათ. გორაკის თავი მოსწორებული, ვაკე ადგილით თავდება. მისი ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ფერდები ფოთლოვანი ტყითაა დაფარული.

ნაგებობის გეგმა ნააჩილებულ სწორკუთხედშია მოქცეული (სურ. 1). ნაგებობის გარეთა გაზარიჭობია: სამხრეთისა და ჩრდილოეთის კოლოზის სიგრძე ტოლია და უდრის 8,80 მ. აღმოსავლეთის კედლის სიგრძე 3,99 მ-ია, დასავლეთისა კი — 3,38 მ.

სამხრეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების სიგანეები თითქმის თანაბარია და 0,55 მ შიადგენს, ხოლო აღმოსავლეთის კედლის სიგანე 0,77 მ-ია. კედლის წყობაში გამოყენებულია კარაად მოსწორებული ფლეთილი ქვა და ფილაქანი. ქვები ერთმანეთთან კირის დულაბითაა დაკავშირებული.

ნაგებობაში შესასვლელი კარი სამხრეთის კედელშია მოქცეული. კარს ნაოთხალები გააჩნია. ნაოთხალებს შორის სიგანე 0,60 მ-ია. კარის სიმაღლე — 1,37 მ. შიადგენს. კარს 0,30 მ რადიუსიანი ნახევარწრიული თალი აგვირგვინებს, ნაოთხალების შიგნით კარის ღიობის ექვრფით კედლებში საურდულე ხერელობია ზოორბლიდან 0,68 მ სიმაღლეზე. მისი ზომებია 0,10 × 0,10 მ; კარიდან მარცხენა კედელს საურდული ხერელი მთელ სიგრძეზე მიჰყვება და დასავლეთის კედელში გადის. ნაგებობა გარედან იკეტებოდა და შესაბამისად არის მოხურვის შემდეგ ურთულის აყურა თო გამოლება გარედან უნდა მომხდარიყო. კარის დაკეტვისას გამოწეულ ურ-



ხურ. 1.

ФОТО 1.


დულს ხელით ან ხის ჯოხით შეაცურებდნენ საურდულე ხვრელში, დასაველეთის კედლიდან. ურდულს ამ მხრიდან თოკი ჰქონდა მობმული, რომლის ერთი ბოლო საურდულე ხვრელის გარეთ რჩებოდა. გაღებისას თოკის საშუალებით ურდულს გარეთ გამოსწევდნენ. ურდულსა და კარის ფრთას დღევანდლამდე არ მოუღწევია.

სამხრეთის კედელში სათავსის გასანათებლად ორი სარკმელია დატოვებული, რომლებიც იატაკის დონიდან 1,65 მ-თაა დაცილებული. მათი სათავსის მხარის სიგანეები 0,44 — 0,30 მ შეადგენს, ფსადისა კი შესაბამისად 0,15-0,12 მ. ერთი სარკმელი აღმოსავლეთის კედელშია მოქცეული, იატაკის დონიდან 3,90 მ სიმაღლეზე.

კედლების წყობაში სათავსის მხარეს უამრავი სხვადასხვა ზომის ნიშია დატოვებული. სამხრეთის კედლის საფასადე მხარეს ექვსი სხვადასხვა სიდიდისა და სიღრმის ნიშია. მათგან ყველაზე დიდს სიმაღლე 0,57 მ აღწევს. ნიშების ნაწილი ოთხკუთხა მოყვანილობისაა, ნაწილი კი შეისრული თაღით მთავრდება.


გარდა აღნიშნული ნიშებისა, სამხრეთის კედლის წყობაში მინის დონიდან დაახლოებით 2 მ-ის სიმაღლეზე ერთრიგადაა განლაგებული ცხოველის თავის ქალები (სულ 13) ისინი იმდენადაა დაზიანებული, რომ ძნელია გაჰოცნობა ჯიხვისაა, ირმის თუ ცხვრისა. თავის ქალები ერთმანეთისაგან 0,50 — 0,70 მ-ითაა დაცილებული.

კედლებით შემოზღუდული სათავსის საერთო ფართი 19 კვ. მეტრია. ეს ფართი ორ არასწორ ნაწილადაა დაყოფილი ორი ბურჯით, რომლებიც შეისრულ თაღში გადადის (სურ. 2-ა). თაღის წვერი იატაკიდან 2,58 მ-ითაა დაცილებული. ამრიგად, ერთიანი ფართი გაყოფილია კარისწინა სათავსად და სათავსად, რომელიც აღმოსავლეთის კედელთანაა დაკავშირ-



სურ. 2.

ფოტო 2.



სურ. 3.

ფოტო 3.

რებული. თავის მხრივ, აღნიშნული სათავსებიც ორ მეტ-ნაკლებად ტოლ ნა-
ნილადაა გაყოფილი კიდევ ორი შეისრული თალით, რომლებიც იწყება
იატაკის დონიდან 1 მ სიმაღლეზე, ხოლო შეისრული თაღების წვერები ია-
ტაკის დონეს 2,80 მ-ითაა დაცილებული (ერთ-ერთი მათგანი იხ. სურ. 2-ბ).

ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები ინტერიერის მხარეს 1,50 მ-ის
სიმაღლემდე სწორად ადის, შემდეგ კი სათავსისკენ იხრება თანდათან
და შეისრულ თაღში გადადის. ნაგებობის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია.

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით იატაკიდან შეისრული თაღის წვე-
რომდე სიმაღლე 4,15 მ-ია.

ნაგებობა დაგვირგვინებულია ორქანობიანი სახურავით, რომელიც
დოციულად საფეხურისებურადაა გადაწყვეტილი (შემორჩენილია შვიდი
საფეხური). სახურავი იწყება მიწის დონიდან 2,65 მ სიმაღლეზე.

აღმოსავლეთის კედლის საფასადე მხარე, მიწის დონიდან 4 მ სიმაღ-
ლეზე ქვის ნაშენია კედლის წყობრიდან, რომელიც შუაში გახვეტილია.
ანალოგიური ქვები დამონებულია ინგუშურ მიწისზედა სამარხებში. აქ
ისინი მიცვალებულის დაკრძალვის წეს-ჩვეულებებთან იყო დაკავშირებულ-
ი; ზედ აბამდნენ მიცვალებულის ცხენს. ეს მოტივი აღწერილ ნაგებობაში
გამორიცხულია (სამარხებში აღნიშნული ქვები მიწის დონეს 1-1,40 მ-ით
იყო დაცლიებული, ხოლო აღწერილ საკულტო ნაგებობაში 4 მ-ით). რო-
გორც ჩანს, წარმართული რწმენის ელემენტი გადმონაშთის სახითაა ჩარ-
თული ახალი მოკლენის სისტემაში.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების საფასადე მხარის ფონ-
ტონებში თითო ჯვარია გამოსახული (ერთ-ერთი მათგანი სურ. 3).
ანალოგიური ფორმის ჯვრები მრავლად გვხვდება ინგუშური კოშკების
ფასადზე და ქართული ქრისტიანული ძეგლების ფასადებზე.

ინტერიერში ყველაზე საინტერესოდ აღმოსავლეთის კედლია გადან-
ყვეტილი. აქ რამდენიმე სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ნიშია გა-
ნლაგებული ერთ ვერტიკალზე. პირველი სამი ნიში კედლიდან ნაშვერ პი-
ლასტრებს შორისაა მოქცეული. მათგან ქვედას ოთხკუთხა კონფიგურა-
ციაა გააჩნია. მისი ზომებია 0,50X0,46 მ. შუათანას სიგანე 0,55 მ-ს შეად-
გენს. სიმაღლე — 0,85 მ-ს და შეისრული თალითაა დაგვირგვინებული.
ნიშის ზედა ნაწილში, შიდა კედლის კარგად მოსწორებულ ქვაზე ჯვარია
ამოკვეთილი. მესამე ნიში აღწერილის მსგავსია. მისი ზომებია 0,30X0,50
მ. ნიშების სიღრმე შესაბამისად შეადგენს 0,25 მ; 0,38 მ; 0,28 მ.

ნაგებობის სამხრეთის მხარე გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რო-
მლისგანაც მხოლოდ საძირკვლის ნაშთებიღა დარჩენილა.

აღნიშნულ ნაგებობას ე. კრუპნოვი უწოდებს „დოლტი“-ს საკურთხე
ველ.² მ. მუჟუხოვი მას იხსენიებს ტერმინით — „დოლტი“ („დელიტი“).
ის. მილიერი მთას უწოდებს „დელიტი“-ს („დოლტი“) და ამ ტერმინს განსა-
ზღვრავს როგორც დელი — ღმერთი და ტე — წყერი, ზედაპირი, მწვერ-
ვალი.³ პროფ. ბ. ალბოროვი ტე-ში მრავლობითობის მაჩვენებელს ხედავს
და თვლის, რომ სიტყვა უნდა იკითხებოდეს როგორც „ღმერთები“⁴.

ხამხის, ცორისა და აკინის საზოგადოებების მოსახლეობას სოფ. ყა-
რთთან საერთო სალოცავი თუშოლი გააჩნიათ. ასევე მეცხლის, ჯვრახისა
და ბარის საზოგადოებების მოსახლეობას თუშოლის თავის სალოცავი გააჩ-
ნდათ მოხდენი. აღნიშნულ სალოცავებთან მოსახლეობა ზაფხულში იკრი-
ბებოდა და გარკვეული რიგის წეს-ჩვეულებების შესრულების შემდეგ მი-
ემართებოდა მთა დელიტესაკენ. თვითონ ის ფაქტი, რომ თუშოლის დღე-
დღისწაულის შემდეგ სხვადასხვა საზოგადოების მოსახლეობა სალოცავად
დელიტესაკენ მიდოდა. მიგაიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ეს სალოცავი
და მისი ღიაობა თუშოლზე მეტი ღირსებისა უნდა ყოფილიყო და თუშო-
ლის მერე საჭირო იყო აიღო უფრო უმაღლესი, უზენაესი ღვთაების თა-
ყვანისაკენ. ამასთან. ის სალოცავი ერთი სოფლის ან საზოგადოებისა კი არ
იყო. არამედ რამდენიმე საზოგადოების. აქედან გამომდინარე, შესაძლოა
ტერმინი დელიტი უზენაეს. უმაღლეს ღმერთს, ღვთაებასაც ნიშნავდეს. ამ
უზენაეს ღვთაებას, ისევე როგორც ინგუშეთის ღვთაებათა პანთეონის შე-
მადგენილი ღმერთების მეტ ნაწილს, თავისი სამყოფელი, ტაძარი გააჩ-
ნდა, რომელსაც ინგუშები ელპიც-ს უწოდებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, დღესასწაული ზაფხულში ტარდებოდა. მოსახ-

ლეობას თან მიჰქონდა არაყი, ლუდი, სამკუთხა პური; მიჰყავდათ ცხვრები. აღწერილ ნაგებობასთან ხალხი ლაგდებოდა გარკვეული თანმიმდევრობით. თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ქურუმები ერთ ხელში სასმელს იკავებდა, მეორეში პურსა და ხორცს და უზენაეს ღვთაებას ხმამაღლა შესთხოვდა კეთილდღეობას, კარგ მოსავალს, საქონლის სიმრავლეს, წვიმას გვალვისას, ავადმყოფობისაგან დაცვას და სხვ. ამის შემდეგ იწყებოდა საყოველთაო ნადიმი, რომელიც გვიანამდე გრძელდებოდა.

ნაგებობასთან დაკავშირებული დღესასწაული და წეს-ჩვეულებანი წარმართული ბუნებისაა, მაგრამ თვითონ ნაგებობის ცალკეული ელემენტებით ის ქრისტიანული ტიპის ნაგებობებს უნდა მივაკუთვნოთ. ამ ნაგებობის ნაწილის (თხაბა-ერდი, ალბი-ერდი) მშენებლებად მკვლევარები ქართველ ოსტატებს თვლიან.¹ ვფიქრობთ, მათი ფორმების მიბაძვითაა აგებული აღწერილი ნაგებობაც ადგილობრივი მშენებლების მიერ. ახალმა იდეოლოგიამ საკულტო ნაგებობის ახალი ტიპის შექმნის ამოცანები დასვა, რომელსაც უნდა უზრუნველყო ახალი რელიგიის რიტუალი. ახალი ფორმები თავიანთი განვითარების პროცესში შეეჯახა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ხალხური სამშენებლო ხელოვნების ადგილობრივ ტრადიციებს; შედეგად ჩამოყალიბდა სწორკუთხოვან საკურთხეველიანი ქრისტიანული საკულტო ნაგებობა, რომელმაც ძველი, წარმართული სალოცავიდან მემკვიდრეობით შეისისხლხორცა გარკვეული ელემენტები. ისევე როგორც ნაგებობის მატერიალურ კულტურაში, მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში ქრისტიანობის ნიშან-თვისებანი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული წარმართულთან. რამდენადაც ქრისტიანობა ინგუშეთში გარეგნულ ხასიათს ატარებდა, ქრისტიანული ნაგებობანი თანდათან წარმართულ ბომონებად იქცეოდნენ. ამასთან, ახალი რელიგიის საყოველთაო გავრცელებისათვის საჭირო ობიექტური პირობების არარსებობისას აქ წარმართულმა წეს-ჩვეულებებმა იმძლავრა.

¹ Акад. А. М. Шегрен. Религиозные обряды осетин, ингуш и их соплеменников при разных случаях. К., № 30. 1846; Несветский. Церковь в деревне Хулу кистов. К., № 5; 1849; А. П. Берзе. Чечня и чеченцы. Тиф., 1859; Чах Ахри-ов. Ингушеские праздники. ССКГ, вып. V, отд. III. Тиф., 1871; Н. К. Зейдлиц. Поездка в Галгаевское и Джераховское ущелья. ИКОИРГО. т. II, № 4, Тиф., 1873; Н. Ф. Грабовский. Ингуши (их жизнь и обычаи). ССКГ, вып. IX, Тиф., 1876; В. В. Миллер. Археологические наблюдения в области чеченцев, МАК, вып. I, М., 1888

² Е. И. Крушов. Средневековая Ингушетия, М., 1971, 68.

³ М. В. Мужухоев. Средневековая материальная культура горной Ингушетии (XIII—XVII вв.). Грозный, 1977, 148.

⁴ В. В. Миллер. Археологические наблюдения в области чеченцев, МАК, вып. I, М., 1888, 6.

⁵ Проф. Б. А. Алборов. Ингушское «Гальерды» и осетинское «Аларды». ИИНИК. I. Владикавказ, 1928, 363.

⁶ Л. П. Семенов. Эволюция ингушских святилищ. Труды секции археологии РАНИОН, IV, М., 1928, 454.

რესტავრაციის მეთოდის შესახებ (საკითხის დასმის წესით)

XX საუკუნის ტექნიკის განვითარების სწრაფ ტემპებთან ერთად ამაღლდა საბჭოთა ადამიანების კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დონე. უფრო და უფრო კონკრეტული ხდება არა მარტო პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტების, არამედ მთელი საზოგადოების დამოკიდებულება დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმესთან, ძველთა დაცვასთან. წესაბამისად ძველზე მისვლამდე, რაც შეიძლება ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ძველის არსი და გაცემული იქნას პასუხი კითხვაზე, თუ რას ვიცავთ და რა სახის სამუშაოებია ჩასატარებელი. სწორედ ამიტომ, აღნიშნული მდგომარეობა რთულ ამოცანებს აყენებს არქიტექტორ-რესტავრატორების წინაშე.

ამ მხრივ საინტერესო და საყურადღებო წინადადებები აქვს წამოყენებული ევგენი მიხაილოვსკის სტატიაში „Современные теоретические концепции“¹, სადაც განხილულია ყველა ის ფორმულირება, რომელიც მიღებული ყოფილა ძველების რესტავრაციისათვის სხვადასხვა დროს. აქ მოკლედ მოვიყვანთ რამდენიმე ინსტრუქციას, რომლებიც დაკავშირებულია არქიტექტურის ძეგლების რესტავრაციის პრინციპებთან.

ასე მაგალითად: 1949 წელს კავშირის მასშტაბით დამტკიცდა „ინსტრუქცია სახელმწიფო დაცვაზე არსებული არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვის თანმიმდევრობის, რეგისტრაციისა და რესტავრაციის შესახებ“. სადაც ტერმინ-რესტავრაციის საზღვრები არ არის შეზღუდული და ითვალისწინებს „ძეგლების დაცვასა და შენარჩუნებას დაკარგული იერის დაბრუნებით“². ანუ კონკრეტულად რომ ვთქვათ — „ძველის თავდაპირველი სახით აღდგენა-აშენებას“³. 1964 წელს ვენეციაში ჩატარდა არქიტექტორებისა და ტექნიკურ სპეციალისტთა მეორე საერთაშორისო კონგრესი ისტორიული ძეგლების შესახებ, სადაც მიღებულ იქნა ე. წ. „ვენეციის ქარტია“. ქარტიაში რესტავრაციის მიზანი განსაზღვრულია როგორც ჩვენამდე მოღწეული ძეგლის დაცვა, ანუ ძეგლის ისტორიულ-ესთეტიკური ღირსების გამოვლინება მის გამაგრებასთან ერთად.⁴

1961 წელს სსრ კავშირის არქიტექტურისა და მშენებლობის აკადემიაში გამოსცა არქიტექტორ-რესტავრატორთათვის სახელმძღვანელო „არქიტექტურის ძეგლების რესტავრაციის მეთოდიკა“, რომელშიაც ვენეციის ქარტიის მიზანი ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, ხოლო მნიშვნელოვან საკითხად კი მთლიანი აღდგენის მეთოდიკა დაყენებული⁵. მიუხედავად ამისა 1961 წელს გამოსული სახელმძღვანელო უფრო კონკრეტულს ხდის 1949 წლის ინსტრუქციას და აქცენტს აკეთებს მასზე, რომ რესტავრაცია — ეს მარტო პირველადი ფორმის აღდგენას არ ნიშნავს, არამედ არსებულის შენარჩუნებასაც ითვალისწინებს“.



საბჭოთა პერიოდის რესტავრაციის სკოლაში ჯერ კიდევ 20—30-იან წლებში ჩამოყალიბდა გარკვეული მიმართულება, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აკადემიკოსი გრაბარი ამბობდა, რომ „ზოგჯერ, ძველის დანახვის გამო აუცილებელი ხდება მისი გამაგრების მიზნით, სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ასეთი რემონტი ხელოვნების ძეგლის ერთგვარი აღდგენაა, ანუ რესტავრაცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“.⁴ გრაბარი ასევე აღნიშნავდა, რომ რესტავრაციის მთავარი სტიმული მდგომარეობს კონსერვაციაში, ესე იგი გარკვეული ღონისძიებების ჩატარებაში, რომელნიც მიმართული არიან ძეგლების ან მყოფადი პირობების გაუმჯობესებისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ისტორიის და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის ახალი კანონისა და ასევე „ისტორიის და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ ახალი კანონის⁷ გამოსვლის შემდეგ არავითარი ახალი, პროგრესული, ან თუნდაც კორექტირებული ძველი ინსტრუქცია ძეგლების დაცვის, რესტავრაციის და აღდგენა-გამაგრების შესახებ არ შემუშავებულა.

1978 წელს გამოცემლობა „სტროიიზდატ“-მა ქალაქმშენებლობის და არქიტექტურის ლიტერატურის სექციის სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით გამოსცა სპეც. ლიტერატურა ძეგლების რესტავრაციისა და კონსერვაციის შესახებ, რომელშიაც შეკრებილია საზღვარგარეთის ცნობილი არქიტექტორ-რესტავრატორებისა, დაცვისა და კონსერვაციის სპეციალისტების წერილები:⁸ იუნესკოს ამ გამოცემაში მეტად მრავალი და საინტერესო კონცეფციებია წამოყენებული ძეგლების რესტავრაციის საქმეში.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული ყველა მოსაზრებების და წინადადებების ანალიზი, მაგრამ თუ ზერეულდ მაინც გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ აქ ძირითად ლეიტმოტივს წარმოადგენს რესტავრატორის ძეგლისადმი დამოკიდებულება ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუ რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს რესტავრატორმა. ეს რასაკვირველია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია აღდგენითი თუ საკონსერვაციო საპროექტო სამუშაოების ჩატარებისას, მაგრამ ერთის შეხედვით ისეთი მარტივი საკითხი, როგორცაა ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობა, ხშირ შემთხვევაში გვერდზე გვრჩება და მსჯელობის საგნად არ იქცევა.

ჩვენი აზრით როგორც ცალკეულ, ასევე კომპლექსურ ძეგლებზე წინასწარ უნდა იყოს შემუშავებული საპროექტო დავალება. სიტყვა „წინასწარ“ აქ პირობითია, და ყველა შემთხვევაში ნიშნავს ძეგლის მთლიანი გამოკვლევის შემდგომ სტადიას. უკვე გამოკვლეული ძეგლი, მისი გრაფიკული რეკონსტრუქციის პროექტით, წარმოდგენილი უნდა იქნას სამეცნიერო მეთოდურ საბჭოზე, რომელიც განიხილავს არსებულ მასალას და გამოიტანს სათანადო დასკვნას, რის საფუძველზეც შესდგება საპროექტო მოცემულობა და არქიტექტორ-რესტავრატორი მიიღებს კონკრეტულ დავალებას. შესაბამისად საბჭომ შეიძლება მიიღოს რამდენიმე სახის გადაწყვეტილება, მაგრამ ცალკეული ძეგლისათვის მხოლოდ ერთი. ესენია: ძეგლის



მთლიანი აღდგენა ხაზდაპირველი სახით; ძეგლის მთლიანი აღდგენა რო-
ბელიძე სამთხევანო პერიოდზე (მრავალფენიანი ძეგლებისათვის); მანუშკაძე
როივი აღდგენა-კოსხერვაცია და მხოლოდ კოსხერვაცია. რომელიმე ასეთი

გადანწყვეტილების მიღებით, სამეცნიერო მეთოდური საიჭოს ოქმი საფუძვე-
ლად დაედება შემდგომში პროექტირების გაგრძელებას. ეს კი იმას ხი-
ნავს, რომ დასრულებული პროექტი ერთხელ კიდევ უნდა წარსდგეს სა-
მეცნიერო საბჭოს წინაშე და მხოლოდ მის მიერ ვიზის დადების შემდეგ
შეიძლება ნატურაში განხორციელების დაწყება. პროექტის მეორედ წარდგე-
ნა სამეცნიერო მეთოდურ საბჭოზე ითვალისწინებს პროექტირებისას წარ-
სწობილ რომელიმე ახალი და ადრე გაუთვალისწინებელი ვარიანტის
სრულყოფილ გააზრებას. ყოველი კონკრეტული დავალება, როცა ძეგლი
სრულყოფილად არის შესწავლილი ნათელს ხდის ძეგლის დაპროექტებისათ-
ვის თუ ნატურაში შესრულებისათვის საჭირო დროს, მაგრამ ვინაიდან არ-
ყამად კვლევა და რესტავრაციის პროექტის შედგენა პარალელურად მიმ-
დინარობს, ამიტომ ხშირად ფერხდება ყველაზომიერი მუშაობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რესტავრაციის ცნება (სიტყვა რეს-
ტავრაციის ფართო გაგებით) და ძეგლის კვლევის ცნება შედარებით უფ-
რო კონკრეტულ ფარგლებს ღებულობს, სადაც კვლევა რესტავრაციის გა-
რეშე შეიძლება, ხოლო რესტავრაცია მხოლოდ და მხოლოდ კვლევის ლო-
გიკური შედეგია.

თუ ძეგლი გასახსნელია კვლევის მიზნით, უდაოა რომ მას დაცვა სჭირ-
დება გარემო პირობებისაგან, ვიდრე კვლევის დამთავრებამდე. ძეგლის
გახსნა კი წარმოებასთან არის დაკავშირებული, რომელიც მხოლოდ და
მხოლოდ პროექტის საფუძველზე ახორციელებს ყველა სამუშაოს. ამ შეუ-
საბამობის შედეგად თითქოსდა გაუგებარი ხდება თუ რას ნიშნავს კვლევა
საპროექტო დავალების მიღებამდე და როგორ შეიძლება მივიღოთ საპ-
როექტო დავალება თუ ძეგლის კვლევა რთულ სანარმოო პირობებთან არის
დაკავშირებული?

ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი მდგომარეობა უფრო გარკვეულს
ხდის კვლევის არსს და აკონკრეტებს მას როგორც ორ თანმიმდევრულ
სტადიას. პირველი — ძეგლის კვლევა საპროექტო მოცემულობის შედგე-
ნამდე და მეორე — ძეგლის კვლევა პროექტირებისას.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:
დავიწყოთ იქიდან, თუ რას წარმოადგენს ძეგლის კვლევა პროექტი-
რებისას. ეს არის თითოეული არქიტექტურული დეტალის მიკვლევა ნატუ-
რაში, რაც შეიძლება ზუსტი ზომების დადგენით. შესაბამისად, არ გამო-
რიცხავს ადრე არსებული გრაფიკული რეკონსტრუქციის პროექტის შეყ-
ვლას.

რაც შეეხება კვლევას საპროექტო მოცემულობის შედგენამდე, ვფიქ-
რობთ, რომ აქ საქმე გვაქვს უკვე არაერთხელ ნათქვამ — „ძეგლის
არსის“ გაგებასთან. კერძოდ, როცა საქმე გვაქვს ძეგლთან, რომლის ფი-
ზიკური მდგომარეობა გარკვეულია და გამაგრების აუცილებლობა გა-
დაწყვეტილი, საპროექტო მოცემულობა უნდა შედგეს ისტორიული, კულ-
ტურული და მხატვრული ღირებულების საფუძველზე.




თითოეული ხუროთმოძღვრული ძეგლი წარმოადგენს ამა თუ იმ ეპოქის განვითარების რომელიმე ეტაპის ცოცხალ მაგალითს. ეპოქალურად ეტაპობრივად ძეგლებს შორის არსებობს გარკვეული სხვაობა და რედ ანტიკომაც განსაზღვრულია მათი დაცვის კატეგორია. ჩვენ დღეს გვაქვს მსოფლიო, საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლები. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებულ თითოეულ რეგიონში მოიპოვება მისი განვითარების ეტაპების და მიხედვით დიდი და მცირე მნიშვნელობის ძეგლები და თუ ჩვენ ყოველგვარი მეთოდოლოგიური მიდგომის გარეშე ყველა ძეგლის მხოლოდ და მხოლოდ თავდაპირველი სახით აღდგენას გადავწყვიტავთ, რასაკვირველია ამაზე არა ერთიანი სახსრები არ ვეყუფა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ხუთიათასზე მეტი ძეგლია და ყველა საჭიროებს რესტავრაციას. ამიტომ უფრო რაციონალურად მიგვაჩნია ძეგლების აღდგენის მაღალი ეფექტურობის მისაღწევად თითოეული ძეგლის მნიშვნელობის წინასწარ განსაზღვრა, რაც წინა საპროექტო კვლევის შედეგი იქნება. ვეცდებით წარმოვადგინოთ ძეგლების მნიშვნელობის ის შესაძლებელი ვარიანტები, რომელიც საშუალებას მოგვცემს არქიტექტორ-რესტავრატორთათვის საპროექტო მოცემულობის შედარებით ზუსტ განსაზღვრას და შესაბამისად საპროექტო სამუშაოების ფართოდ გაშლას. ესენია: 1. ხუროთმოძღვრების შედეგები, რომელთა სრული აღდგენა არ არის სასურველი, მიუხედავად მასზე არსებული ყველა გრაფიკული რესტავრაციის პროექტისა და პრაქტიკული მასალისა. 2. „ნაკლებ მხატვრული“ მნიშვნელობის ძეგლები, რომელთა აღდგენა შეიძლება არსებული მასალის საფუძველზე. 3. ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომელთა ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ სასურველია მათი სრული აღდგენა თუნდაც ანალოგიების საფუძველზე. 4. ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომელთა კონსტრუქციები სასურველს ხდის ძეგლის ნაწილობრივ აღდგენას, მშენებლობის კულტურის თვალსაჩინოების მიზნით.

არქიტექტორ-რესტავრატორის წინაშე ასეთი სახით დასმული ამოცანა უკვე ნიშნავს გეგმის სწორ განაწილებას, სადაც პროექტირების დრო განსაზღვრული იქნება. მაგრამ ძეგლი თუ საკვლევი, მაშინ პროექტირების ვადების დადგენა მიახლოებითაც კი რთული იქნება.

ხშირად იბადება კითხვა, თუ ვინ უნდა ჩაატაროს წინასწარი კვლევა ძეგლზე (კვლევა-საპროექტო მოცემულობის შედგენამდე). ჩვენი აზრით ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია მისი კომპეტენტურობა, მაგრამ თუ განსაზღვრულია საკვლევი ძეგლის მომავალში რესტავრაცია, სასურველია წინასწარ კვლევას ატარებდეს არქიტექტორ-რესტავრატორი, რომელიც შემდგომში შეადგენს რესტავრაციის პროექტს. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი კვლევის ვადები კონკრეტულად არ უნდა იყოს გამოხატული დროის რომელიმე მონაკვეთით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გრაფიკულად წარმოვიდგინოთ ძეგლის დაცვის თანმიმდევრობა, რაც მიიღებს შემდეგ სახეს:



¹ «Методика реставрации памятников архитектуры» М., стройиздат 1977 г.
² Главное управление охраны памятников архитектуры Комитета по делам архитектуры при Совете Министров СССР» Инструкция о порядке учета, регистрации, содержания и реставрации памятников архитектуры, состоящих под государственной охраной» М., 1949. § 73.
³ იქვე. უნდა აღინიშნოს, რომ 83-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ ძველი მრავალფენიანი რეკონსტრუქციისას, უნდა შემუშავებული იქნას ძველის ზედაპირის საფუძველს ვარიანტი და აღცვეს რომელიმე პერიოდის მიხედვით ბოლომდე.
⁴ ICCMOS. International Council of Monuments and Sites - «International charter for the conservation and restoration of Monuments and Sites». 1966, §3, §9.
⁵ Академия строительства и архитектуры СССР. Институт теории и истории архитектуры и строительной техники и Центральные научно-исследовательские мастерские — «Методика реставрации памятников архитектуры» Пособие для архитекторов - реставраторов. М., 1961 г. стр. 123.
⁶ Грабарь Игорь. Реставрация — «Энциклопедический словарь русского библиографического ин-та «Гранат». Изд. 7-е. т. 36; ч. I, М., 1932 г.
⁷ საქართველოს სსრ კანონი «კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ», თბილისი, ვახუთი „კომუნისტი“, 1978 წ. 28 იანვარი.
⁸ «Консервация и реставрация памятников и исторических зданий» М., «Тройиздат 1978 г. (перевод с французского).

ხალხური ძეგლების უსწავლას ვიბი სიფრთხილად სჭირდება

ქრებულ „ძეგლის მეგობრის“ 1979 წლის ორმოცდამეცხრე ნომერში დაბეჭდილია პროფესორ ლონგინოზ სუმბაძის სტატია — „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზონა ხალხური ხეროთმომღერებისა და ყოფის მუზეუმში, საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობათა ტიპოლოგია და განაშენიანების პროექტი“ (იხ. გვ. 51).

ჩვენს საგანს არ შეადგენს ამ სტატიის მიზანდასახულობის გარჩევა და არც მის შესახებ თუნდაც პატარა რეცენზიის დაწერა.

ჩვენ მხოლოდ გვინდა შევეხოთ იმ უმართებულო შენიშვნებს, რომლებიც არასწორად მიგვაჩინა და აგრეთვე იმ შეცდომებსაც, რომლებიც თან ახლავს ლ. სუმბაძის სტატიას.

სტატიის ძირითადი საკითხების გასაშუქებლად ავტორს გამოყენებული აქვს ჩემი მონოგრაფია — „ქართული ხალხური ხეროთმომღერება“, (წიგნი მეორე, გამოქვეყნდა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1968 წ.), რომელიც მიძღვნილია აფხაზეთის ხალხური ხეროთმომღერების შესწავლისადმი. რა თქმა უნდა ლ. სუმბაძეს უფლება აქვს არ გაიზიაროს ჩვენს მონოგრაფიაში მოცემული მოსაზრებები და ნაცვლად ამისა წარმოადგინოს საკუთარი შეხედულებები, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ამისათვის საჭიროა მეცნიერულად სარწმუნო საბუთები: მის მიერ წამოყენებული შენიშვნების საფუძველზე არაფრის დამტკიცება არ შეიძლება და არც არაფრის უარყოფა.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმ არასამართლიან შენიშვნებზე, რომლებიც გამოთქმულია ზემოხსენებულ სტატიაში.

1. 53 გვერდზე ვკითხულობთ: „ი. ადამია აფხაზეთის ტერიტორიას ყოფს სამ საცხოვრებელ ზონად. პირველ ზონაში მის რუკაზე მოქცეულია სანაპიროს ვიწრო ზოლი, მესამე ზონაში — აფხაზეთის მალაშთიანი ნაწილი (კავკასიონი), მათ შორის მდებარე მთიანი ნაწილი კი აფხაზეთისა მიკუთვნებულია მეორე ზონისათვის: ასეთი სამშენებლო ზონირება არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან მესამე ზონა — დაუსახლებელია (ამიტომ სახლის ტიპიც არაა შიგნაჩვენები), პირველ ზონაში კი — ნაჩვენებია ერთადერთი ტიპი საცხოვრებლისა — განვითარებული ოდა-სახლი, რომელიც მეორე ზონაშიცაა საკმაოდ გავრცელებული. უდავოდ მეჩვენება აგრეთვე, რომ მეორე ზონაში ნაჩვენები სახლის ძველი ტიპები ძველად ვაკეშიც (1-ზონაშიც) იყო გავრცელებული საცხოვრებლის ყველა ტიპი ამგვარად მოქცეულია მეორე ზონაში, რაც პირველი და მეორე ზონის არსებობას აზრს უქარგავს“.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით ეს ადგილები ლ. სუმბაძეს არ წაუქითხავს და ამიტომ არცაა გაგებული ისე, როგორც ეს ჩვენს მონოგრაფიაშია გაშუქებული.



ჩვენს მონოგრაფიაში ამ საკითხებს სპეციალური პარაგრაფი აქვს დedicated. ბილი (იხ. გვ. 19), სადაც დარკვევით წერია „...აფხაზეთის ტერიტორიაზე დაყოფის მიხედვით შედგება სამი საცხოვრებელი ზონისაგან: 1. დროებითი საცხოვრებელი ზონა; 2. მუდმივი საცხოვრებელი ზონა და 3. დროებითი საცხოვრებელი ზონა“... (სურ. 2) იხ. გვ. 19, 20.

ზემოხსენებულ საცხოვრებელი ზონების დადგენას და კარტოგრაფიის შედგენას საფუძვლად უდევს: საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების ანაზოში გრაფიული მასალის ანალიზი, ნატურიდან გადაღებული ფოტოდოკუმენტური ილუსტრაციები და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა. გამოყენებულია აგრეთვე ამ საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურიდან — ისეთი ცნობილი ავტორების ნაშრომები, როგორცაა: ვ. ჩიტაია, თ. სახოკია, ა. ფადაევი, ა. ალბოვი, ც. ბეანია, მ. ივაშენკო და სხვ.

პირველი საცხოვრებელი ზონა, როგორც (სეზონური) საზამთრო საძოვრები მუდმივი დასახლებისათვის გამოუსადეგარი იყო. მეორე ზონის სოფლებში გავრცელებულ მუდმივ საცხოვრებელთა ტიპები აქ გამოირჩეულა თითქმის XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამიტომ რუკაზე ძველ საცხოვრებელთა ტიპური სქემები პირველი ზონის საზღვრებშიც არაა ნაჩვენები.

აფხაზეთის მესამე ზონა წარმოადგენს, აგრეთვე დროებით საცხოვრებელ ადგილს (საზაფხულო საძოვრებს) რომელთა შორის აღსანიშნავია; ლიხტო, ბგანიპა, აჩაბუცარი და სხვ. სადაც მუდმივი დასახლება (სოფელი) არ არსებობს, რის გამოც დროებითი სადგომები („აცანგვარები“) რუკაზე არაა შეტანილი. მაგრამ ადამიანის, დროებით სამყოფს, სეზონური საქმიანობისათვის თავისი დროებითი სადგომებით არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს.

ჩვენს კარტოგრაფიაზე (მონოგრაფიაში, იხ. სურ. 2) აღნიშნული პირველი საცხოვრებელი ზონის დასახლების შესახებ ფრიად მნიშვნელოვან სარწმუნო ცნობებს გვაწვდის სახელმწიფოქილი ქართველი ეთნოგრაფი თ. სახოკია (მოგზაურობანი, თბ., 1950). აქ ლაპარაკია ზღვისპირა ადგილების შესახებ, მაგალითისათვის მოვიტანოთ: ზოგიერთი ამონაწერი:

„...მალარია აქ დასაბამითვე პეტდობდა... ამ მალარიის შიშით აქ აუტაუბიც კი ერიდებოდნენ დასახლებას“ (გვ. 30).

...შარა-გზაზე მეგრელთა აქა-იქ გადმოდგმულ დუქნებს გარდა სახლს ვერ ნახავთ. ტყითაა დაბურული გზის ორივე მხარე (გვ. 302).

ეს ადგილები „... ურგები და ჭაობიანი იყო, ზედ არაეინ სახლობდა“ (გვ. 297).

ზემომოტანილი ციტაციები ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ჩვენს რუკაზე აღნიშნული პირველი საცხოვრებელი ზონა უძველესი დროიდან გამოუსადეგარი იყო მუდმივი დასახლებისათვის (სოფლური დასახლება აქ იმხანად არ ყოფილა) ეს ადგილები მხოლოდ სეზონურად იყო გამოყენებული. ამიტომ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუკაზე ნაჩვენები არაა ძველ საცხოვრებელთა ტიპები.

პირველი საცხოვრებელი ზონის მუდმივ საცხოვრებლად გამოყენება იწყება XIX ს. მხოლოდ სამოციან წლებიდან, მას შემდეგ, რაც ეს ზღვისპირა ადგილები ადგილობრივი მემამულეებისაგან შეისყიდეს რუსმა კომისიონერებმა



სოფ. ხოფი (გუდაუთის რ-ნი) ფაცხა სახლი („აქვხაცი“). მ. ჯიჯიბას კარ-მიდამოზე. ავტორის ფოტო ნატურიდან (ორიგინალი).

Плетеный дом («сакви») на усадьбе М. Джигарба, в натуре (оригинал) сел. Хоши (Гудаутский р-н). Фото автора.

(ოლდენბერგმა, ნახიმოვმა, ბერნსმა და სხვ.). ამ დროიდან იწყება აქ სოფლების წარმოშობა.


აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ შედგენილი რუკა აფხაზეთში გავრცელებულ საცხოვრებელთა ტიპური ფორმების არეების შესახებ ქრონოლოგიურად განეკუთვნება XVIII-XIX სს.

პროფ. ლ. სუმბაძე ზემომოტანილ თავის შენიშვნაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ — მეორე ზონაში ნაჩვენები სახლის ძველი ტიპები ძველად პირველ ზონაშიც იყო გავრცელებული.



წინული სახლი (აკვაიცა) სოფ. ზოფიდან ლა ცის ქვეშ მუზეუმის ტერიტორიაზე მ. ჭიკირბას ფაცხა სახლის შუფერებელი „ასლი“ ლ. სუმბაძის ფოტო.

Плетенный дом («Аквация») из сел. Холи, возведен «Копии» по плетенного дома М. Джикирба (на территории музея), фото Л. Сумбадзе.



შუადერეფნიანი (შეწვეილებული) სახლის წარმოშობისა და განვითარების ეტაპების სქემა, 1. ფასადები და 2. გეგმები (ჩვენი მონოგრაფიის მიხედვით, ტაბ. 29, II რიგში ნაჩვენებია კოლხური სახლები).

Происхождение и развитие схем этапов Колхского дома «по середине открытым коридором» 1. Фасады и 2. Планы (по монографии И. Адамия из табл. 29, во II ряду показаны Колхские дома).



XIX საუკუნის მეორე ნახევარამდე, როგორც ირკვევა, პირველ საცხოვრებელ ზონაში აფხაზური საცხოვრებელი სახლების იმ ტიპების არსებობაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამის შესაძლებლობა სრულიად გამოირიცხვლია, რადგან დროის ამ მონაკვეთში (XIX ს. მეორე ნახევრიდან) მკვიდრი მოსახლეობა განსაკუთრებით აფხაზები მოკლებულნი იყვნენ უფლებას დასახლებულიყვნენ პირველი დროებითი საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე (კარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამო), როგორც არა საიმედო ელემენტები (თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 298).

პირველი დროებითი საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე პირველი სოფლების წარმოქმნას საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიური და შრომასაქმიანობის თავისებური დამახასიათებელი პირობები.

საკითხის ნათლად წარმოდგენისათვის მოვიტანოთ კიდევ ერთი ამონაწერი. მეგრელებმა თხოვნით მიმართეს ქ. სოხუმის მმართველობას მაშინ (XIX ს. სამოციან წლებში პირველი საცხოვრებელი ზონა დაუსახლებელი იყო) „მაინც ხომ არავენ ესახლება ამ მიწაზე, და გთხოვთ აჯარით მოგვეკეთ სახნავ-სათესადო. ქალაქსაც კვეთაში დაუჭდა უსარგებლო მიწების გამოყენება და თანხმობა გამოუცხადა. მეგრელებმა მხნედ მოჰკიდეს ხელი საქმეს, ტყე, რაც შეეძლოთ, გაკაფეს, ჭაობი დააშრეს, გააჩინეს სახნავ სათესი, გააშენეს ვენახი და გაჩნდა მგრეთწოდებული სოფელი“... (თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ 297).

ჩვენი აზრით ეს კიდევ ერთი ისეთი ზედმეტი საბუთია, რომელიც აბათილებს პროფ. ლ. სუმბაძის ზემოხსენებულ შენიშვნაში გამოთქმულ მოსაზრებას.

ლ. სუმბაძის აზრით „განვითარებული ოდა-სახლის“ რეაოთახიანი ტიპი თითქოს გავრცელებულია აგრეთვე აფხაზეთის მეორე-მუდმივი საცხოვრებელ ზონაშიც და თანაც „საქმაოდ“, რაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

2. ლ. სუმბაძის დასკვნით: „არაა მისაღები აგრეთვე ამავე მონოგრაფიაში მოცემული ტაბულა 29... იგი თვითნებურია და მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს. სხვა, რომ არ იყოს რა მეორე რიგში ტაბულისა ნაჩვენებია ისეთი შენობები, რომელთა არსებობა გამოირიცხვლია კოლხეთის ტერიტორიაზე“ (გვ. 53).

ჩვენი მონოგრაფიის 29-ე ტაბულის რიგში ნაჩვენებია სხვადასხვა დანიშნულების კოლხური სახლების სქემატური ფორმები. XVIII საუკუნემდე ასეთ ხალხურ შენობებს, რომლებიც კარ მიდამოზე ცალ-ცალკე იდგა (სახლი სასტუმრო, სახლი სამზადი, სახლი საღვინო, სახლი საზროზე და პრავალი სხვა) ქართულ წერილობით წყაროებში ზოგადად ყველას „სახლი“ ეწოდებოდა.

ზემომოტანილი ცნობები რა თქმა უნდა არავითარ დავას არ იწვევს, რადგან ეს ასეა ცნობილი ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მეცნიერებაშიც.

ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა ხალხური ძეგლების რეალური შერჩევა (მეცნიერულ ასპექტში საქართველოს ამ რეგიონის საფუძვლიანი შესწავლა). ეს ისე უნდა მოხდეს, რომ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ისტორიული ჩაკვერი განვითარების ეტაპობრივი პროცესები არ

იყოს სინამდვილიდან მოწყვეტილი ან ამოღებული; ნაგებობათა ტერიტორიაში ყველას უნდა ჰქონდეს თავთავიანთი სახელი და ადგილი მიჩნეულ.

29-ე ტაბულის მეორე რიგიდან მაინც ცალკე უნდა გამოყვეთ ორი სქემატური ნახაზი: ერთია — ორი ცალ-ცალკე მდგომი სახლურ მდგომი სახლურ რეა. ხსენებული ცალ-ცალკე მდგომი სახლების ერთსახურავეკვეშ გაერთიანების (შეწყვილების) მაგალითი, რომელთა შორის (შუაში) წარმოიქმნება ღია სივრცე, რომელიც ღია დერეფანს (ფარდულს) წარმოადგენს. ამის გამო მას „შუადერეფნიან“ სახლს უწოდებენ; საცხოვრებლის ეს ტიპი გამართლებულია და ადაფტირებულია კოლხეთის ნოტიო კლიმატური პირობებისათვის, იგი ადგილობრივი წარმონაქმნია.

ორი „სახლის“ ერთსახურავეკვეშ მოქცევა (შეწყვილება) გვაძლევს მეტად ლოგიკურ და ორიგინალურ მოცულობით კომპოზიციურ გადაწყვეტას. „შუა ცეცხლი“ სათავსოდან („სახლიდან“) გარეთაა გამოტანილი შუა დერეფანში მთელი ზაფხულის პერიოდში, გვიან შემოდგომამდე, რაც კოლხეთის ტენებრივ-კლიმატურ პირობებისათვის გამართლებულია.

ამრიგად, კოლხური „შუადერეფნიანი“ სახლი კოლხური საცხოვრებლის ერთ-ერთი უნიკალური (თავისი კოლორიტით) განსხვავებული ფორმაა: „შუა დერეფნიანი“ სახლის წარმოშობის ფესვები შორეული წარსულის სიღრმეში აღწევს და უხსოვარი დროის სიღრმეშივე იყარგება. ეს არის ხალხური ხელომოდღერების პირველადი, თვითმყოფადი ფორმების სათავეები; ამიტომ ასეთ ძეგლად ქვეულ პირველად ფორმებს მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ.

„შუადერეფნიანი“ სახლი კოლხური საცხოვრებლის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ძირძველი ფორმაა და დღემდე შემორჩენილია აფხაზეთისა და სამეგრელოს რაიონებში.

ზემომოტანილი ჩვენი ინტერპრეტაციები დამოწმებული გვაქვს აგრეთვე არა მარტო ანაზომი გრაფიკული მასალებით, არამედ ჩვენ მიერ („შუა დერეფნიანი“) სახლების ნატურიდან გადაღებული ფოტოდოკუმენტური ილუსტრაციებით, (იხ. „შუადერეფნიანი“ კოლხური სახლები, მონოგრაფიაში, სურ. 67, 68, 69), რომლებიც ზედმიწევნით პრეცეზიულს ხდის 29-ე ტაბულაზე ნაჩვენები „სახლების“ კოლხურ წარმომავლობას (იხ. „შუადერეფნიანი“ სახლის ფოტოილუსტრაცია). ზემოგანხილული სახლების კოლხურობას, მათ თვითმყოფადობას ადასტურებს, აგრეთვე ცალკე მდგომი ორი ან სამი სასიმიინდის, ასევე ბელელისა და სამხარეულოს ერთსახურავს ქვეშ გაერთიანების შემთხვევები (იხ. ჩვენი მონოგრაფია, ვვ. 106, ტაბ. 49).

განსაკუთრებით საინტერესოა ზემოხსენებული სამხარეულოსა და ბელელის ერთსახურავეკვეშ გაერთიანების მაგალითი, სადაც კოლხი მშენებელი ძველ საშენებლო ტრადიციებს იმეორებს — რთულ რელიეფზე — სხვადასხვა დონეზე ათავსებს შენობებს და ამით ერთ მთლიან ორიგინალურ კომპოზიციას ჰქმნის: აქ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ისეთი დეტალის გამოყენება როგორცაა, სამხარეულოსა და ბელელის ერთმანეთთან ხიდური-მოაჯირებოანი გადასასვლელით დაკავშირება. ანალოგიური შემთხვევები დამოწმებული გვაქვს აგრეთვე აჭარაში ცალკე მდგომი ბოსლისა და საცხოვრებელი სახლის ხიდური გადასასვლელით დაკავშირების საინტერესო მაგალითებით.



მოტანილი მაგალითები კოლხეთის ტერიტორიაზე, ამ სახის შენობებს ფართო გავრცელებაზე მეტყველებს. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება თუ არა აღიძრას საწინააღმდეგო აზრი? და განაცხადოს ვინმემ, რომ ასეთი შენობების „...არსებობა გამოირიცხებოდა კოლხეთის ტერიტორიაზეო“.

რატომ ან რა საბუთით იშორებს თავიდან და გამოირიცხავს ლ. სუმბაძე კოლხეთის ძველისძველ სახლებს კოლხეთის ტერიტორიიდან (მშობლიური მიწა-წყლიდან), რომლებიც დღემდე-ჭერ კიდევ რელიკვიების სახითაა შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და საჭიროა მათი არა უგულვებლყოფა არამედ მათი დაღუპვისაგან გადარჩენა და მოვლა-პატრონობა. „შუადრეფენიანი“ კოლხური საცხოვრებლის ეს სახეობა შეტანილ უნდა იქნას მუზეუმის ტერიტორიაზე აფხაზეთის ზონის განაშენიანებაში. საინტერესოა რატომ არ სურს ლ. სუმბაძეს დაინახოს კოლხური შენობის თავისთავადობა ან რა არგუმენტი გააჩნია მისი არაკოლხურობის შესახებ? პასუხი ერთია — არავითარი არგუმენტი არ არსებობს ამ ტიპის სახლების არა კოლხურობის დასამტკიცებლად.

3. სტატიის 53-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ამას გარდა პირველი ობიექტის გეგმა კუთხური წყობის კვადრატული გვირგვინით სრულიად არ შეეფერება მის ჭრილს, რომელზედაც ვიტრუვიუსისეული კოლხური გვირგვინია ნაჩვენები“.

აქ გეგმასა და ჭრილს შორის პროექციული კავშირი არაა დარღვეული სიზუსტე დაცულია, ამიტომ ეს ნახაზი სწორია და კარგადაც იკითხება, ხოლო რაც შეეხება გვირგვინის დეტალების გამოხატვას ამ მასშტაბში სრულიად ზედმეტია — ცალკეული დეტალების ჩვენება ასეთ მცირე მასშტაბში ნახაზის გადატვირთვის გამო პროექციებში საერთოდ არაა მიღებული;

აქვე უნდა შევნიშნოთ თუ როგორ იყენებს სტატიის ავტორი ჩვენს მიმართ წამოყენებულ შენიშვნებიდან მიღებულ დასკვნებს და როგორ ორგანული კავშირშია მისი სტატიის შინაარსობრივ სტრუქტურასთან.

ხსენებულ სტატიაში აღნიშნული შენიშვნების, გამოყენების რაიმე ნიშანწყალი არსად არ ჩანს ის მხოლოდ, როგორც სეროგატი ისეა ჩაჩხერილი სტატიის შუაში თიშავს სტატიის შინაარსობრივ მასალას და მოწყვეტილია მისგან, რაც სინამდვილეში დიდ გაუგებრობას იწვევს.

თუ ეს ასეა, მაშინ რა მიზანი ჰქონდა ამ უსაფუძვლო შენიშვნების გამოშვებებს აღნიშნულ სტატიაში? თუ ისინი მართლაც მოწყვეტილია ამ საცნობარო ხასიათის სტატიის შინაარს და გაშუქებულ საკითხებიდან შორს დგანან. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: ასეთი მიდგომა საკითხისადმი ზერელე-ზედაპირული არა მეცნიერული დამოკიდებულებით აიხსნება, რის გამოც რეცენზენტი ხშირად არა მეცნიერულ ასპექტებში ამოყოფს თავს, რომელიც უნებლიედ შორდება ჰუმპირიტებსა და ნიადაგს ჰქმნის შეცდომების დასაშვებად.


ჩვენ ამით ვამთავრებთ პაექრობას ხსენებული შენიშვნებისა გამო. ახლა ზოგიერთ იმ შეცდომასაც შევეხოთ, რომელიც დაშვებულია ლ. სუმბაძის სტატიაში. მრავალ საინტერესო ინფორმაციასთან ერთად სტატიაში გვხვდება ისეთი შეცდომები, რომელთა, გასწორება უკვე ძალზე ძნელია.

მოვიტანოთ ზოგიერთი მაგალითი — გეგმაზე წრიული მოყვანილობის წნული საცხოვრებლის („აქვჰაკის“) პირველადი უძველესი ფორმა დღემდე დაცულია ადგილზე, როგორც ისტორიული რელიკვია (სოხუმის მხარეთმცო-



სოფ. კუბურხიჯი (გალის რ-ნი) სამზადი სახლია და მარნის ერთ საბურავევეშ გაერთიანებული შეწყვილებული ღია-გამკოლი შუადერეფნიანი კოლხური სახლი (ავტორის ფოტო ნატურიდან).

Кухня и марьяи объединенные под одной крышей «по середине открытым сквозным коридором» в натуре, сел. Чубурхиджи (Гальский р-н). Фото автора.



სოფ. აკვასკა (ოჩამჩირის რაიონი). 1. ერთ საბურავევეშ გაერთიანებული (შეწყვილებული) ორი სასიძინდის ფახადი და გეგმა. 2. ერთ საბურავევეშ გაერთიანებული (შეწყვილებული) ბედლიხა და სამზადი სახლის ფახადი და გეგმა.

1. Объединенные под одной крышей два кукурузника, фасад и план; 2. Амбар и кухня переходящим балконом объединенные под одной крышей фасады и плана (разных отметках рельефа).



დნეობის მუხეუმის თაოსნობით სოფ. ხოფში მ. ჭიკიბას კარ-მიდამოხუ-
იქვე 57-ე გვერდზე ნაჩვენებია მუხეუმის ტერიტორიაზე „უკვე აგებულ“
ჰეაის“ ფოტოილუსტრაცია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს
მ. ჭიკიბას ფაცხის ილენტურ ფორმას; მას არაფერი საერთო არა აქვს სოფ.
ხოფში დაცულ მ. ჭიკიბას ფაცხის გარეგნობასთან (საერთოდ ნისი მოცულო-
ბით კომპოზიციასთან, გარდა გვეგმაზე წრიული მოყვანილობისა). თითქოს მისი
„ასლია“ აგებული მუხეუმის ტერიტორიაზე „ზუსტი ანაზომებისა, ჩანახატები
სა და ფოტოსურათების მიხედვით“; დიდი მოკრძალებით გვიჩვენა აღნიშნოთ,
რომ ეს რწმუნება სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან აქ არავითარი სიზუსტი
არაა დაცული.

სოფელ ხოფიდან მ. ჭიკიბას წნული საცხოვრებლის („აქვეჰეაის“). რ-
გორც გარეთა ისე შიდა აგებულება სულ სხვა სურათს გვაძლევს (იხ. მ. ჭი-
რბას ფაცხის ჩვენ მიერ ნატურიდან გადაღებული ფოტოილუსტრაცია და შე-
ადარეთ მუხეუმის ტერიტორიაზე აგებულ მის „ორიულს“).

მ. ჭიკიბას წნული საცხოვრებლის სახურავის ბოლქვისებრი მოყვანილო-
ბა სრულიად არ ედრება მისი „ზუსტი ანაზომის მიხედვით“ მუხეუმის ტერი-
ტორიაზე აგებულ წნულ საცხოვრებლის სახურავის კონსტრუქციულ მოყვანილო-
ბას. ეს უკანასკნელი აფრიკის პრიმიტიული საცხოვრებლის კონსტრუქციული სახუ-
რავის მოყვანილობას უფრო მოგვაგონებს ვიდრე კოლხური ფაცხისას; ამის
უგულბეზყოფა ამ შემთხვევაში ყოველად დაუშვებელია (საცხოვრებლის ამ
სახეობებში მთავარი დამახასიათებელი სახურავის ფორმას). მათ შორის განსხ-
ვავება ელინდება აგრეთვე ცალკეული დეტალების დამუშავებაშიც, რაც მდგო-
მარეობს მ. ჭიკიბას წნული სახლის ისლის ბურჯილის (ყელის ირგვლივ გა-
მოშვებული) პერიმეტრის ორიგინალური მოხაზულობის შექმნაში; იგი ქვემო-
დან შეკრებილია რკალურად, ფაცხის შესასვლელის კარის თავზე ამაღლებუ-
ლია კამარისებურად და გვერდებზე თანდათანობით დამრეკად მდორედ გადა-
დის.

ცალკეული დეტალების დამუშავებას, მისი საწყისი ფორმების წარმოჩე-
ნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება; მკელი ტრადიციებით დამუშავებული ყველა
ელემენტი იძლევა თავისთავადობისა და თვითმყოფადობის კოლორიტულ სა-
ხეს; საერთოდ ძველის კოლორიტულობა სწორედ ამაში ელინდება და მისი
გადმოტანის ან აღდგენის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რომ ეს ორი-
გინალობა მას არ დაუკარგოთ.

ამ ორი ობიექტის ფოტოილუსტრაციების შედარებამ გვიჩვენა, რომ მა-
თი ფორმები (იხ. ილუსტრაციები) აშკარად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.
მ. ჭიკიბას ფაცხა სოფელ ხოფში პირველადი, წნული საცხოვრებ-
ლის „ცოცხალი წინაპარია“, ამიტომ მუხეუმის ტერიტორიაზე აგებულ ფაც-
ხას უნდა აღუდგინოთ მ. ჭიკიბას ფაცხის ილენტურა ფორმა. წინააღმდეგ
შემთხვევაში იგი ვერ ასახავს რეალობას, რაც აუცილებელია იმის გამოც, რომ
ეს არის ერთი თაობის პეორე თაობისათვის შემკვიდრებით დატოვებული რე-
ლიკვიური განძი, რომელიც შემდეგშიც უნდა გადაეცეს მომავალ თაო-
ბებს, აქ უნდა აისახოს ჩვენი წინაპართა ხუროთმოძღვრების უძველესი ნაღბუ-
რი ფორმები და-ყოფის რეალური სინამდვილე.

სტატიის მე-60 გვერდზე ვკითხულობთ — „ობიექტი №3 — სამოიხეც წარზადგენს („აიკა“)... სინამდვილეში კი აფხაზური ტერმინით — „აიკა“ სა- სიმინდეა და არა საძროხე. შიშულიწითემა

აფხაზეთში და სამურზაყანოში ბოსელს „ა-გვარა“ ეწოდება. თუ მაინცდამაინც აფხაზური ტერმინის გამოყენება სურდა ლ. სუმბაძეს, მაშინ „აიკას“ ნაცვლად „ა-გვარა“ უნდა ეხმარა.

ანალოგიურ შეუსაბამობას აქვს ადგილი აგრეთვე IX¹ კარ-მიდამოს სპეციფიკაშიაც (გვ. 54), მე-4 ობიექტად დასახელებულია წნული ბეღელი, სადაც განმარტებისათვის აქაც „აიკა“ მიწერილი. როგორც ჩანს ბოსელი, ბეღელი და სასიმინდე ყველა მოხსენებულია „აიკას“ სახელწოდებით (ისინი ერთმანეთშია არეული რაც ცოტა არ იყოს გაუგებრობას ქმნის, ამაში ალბათ თვით ავტორიც დაგვეთანხმება.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა აღინიშნოს რომ სტატიის ავტორს რატომღაც ბეღელი და საბჭელიც ერთმანეთში აქვს არეული. აჭარის (VII) ზონაშიც (მეოთხე კარ-მიდამოში, სოფ დიდ აჭარიდან) ნაცვლად საბჭელისა ასახელებს ბეღელს, რაც რა თქმა უნდა არაა სწორი; (იხ. ლ. სუმბაძის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ლია ცის ქვეშ, 1978 გვ. 65). ეთნოგრაფები ამას დიდ შეცდომად თვლიან რადგან ზემოაჭარის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ბეღელი და სასიმინდე კარ-მიდამოზე, როგორც ცალკე ნაგებობა გამოირჩეულია (არსად არ გვხვდება); იგი საცხოვრებელი სახლის სისტემაში თავანის (სხეენის) სივრცეშია მოთავსებული, რაც გამოიწვეულია ხანგრძლივი მკაცრი ზამთრის პირობებით. ამიტომ მუზეუმის ტერიტორიაზე აგებული ობიექტი ბეღელი კი არაა, არამედ საბჭელი (საბჭელი და ბეღელი სულ სხვადასხვაა, როგორც კონსტრუქციული შედგენილობით, ასევე თავიანთი ფუნქციითაც).

IX-3 კარ-მიდამოს განაშენიანების შესახებ სტატიის 61 გვერდზე ვკითხულობთ — „ობიექტი 2 -- ხუთოთახიანი „აიკუსკა“ წინ ფართო აივნით ოთხი ბუხრით შუაში (ერთ ფუტეზე)... ოდა-სახლი (№2 ობიექტი) გადმოტანილია და აგებულია მუზეუმში ადგილობრივი ოსტატების მიერ“. ობიექტი № 2 აგებული რომ არ იყოს, შეიძლება კიდევ რალაც გვეფიქრა, მაგრამ იგი უკვე ჩამოტანილია სოფელ ტყვარჩელიდან და აგებულია მუზეუმის ტერიტორიაზე. როგორც ლ. სუმბაძე გადმოგვცემს ეს ოდა-სახლი ხუთოთახიანი კი არაა, არამედ ოთხოთახიანი (ავტორს რატომღაც შეცდომით აქვს ხუთოთახიან ოდად აღიარებული). ოთახების რაოდენობას შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, მაგრამ ოდა-სახლი ჰყარავს თავის ტიპურ სახეს, რადგან ხუთოთახიანი ოდის გვემის ტიპური კომპოზიციას, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, არავითარი კავშირი არა აქვს ოთხოთახიანი ოდა-სახლის გავრცელებული ტიპური გვემის სქემასთან (ამ საკითხების სწორად გადმოცემას დიდი წნისწენლობა აქვს საცხოვრებელთა ტიპოლოგიის დასადგენად).

ასევე დიდი შეუსაბამობაა განაშენიანების გენერალურ გეგმაზე — IX —3 კარ-მიდამოზე არსებული ცალკე გამოტანილი № 2 ობიექტის გეგმასთანაც — რომელშიც ხუთოთახიანი (ან ოთხოთახიანი) ოდის ნაცვლად ნახაზზე ნაჩვენებია სამოთახიანი ოდა-სახლის ტიპური სქემა, (უნდა გავითვალისწინოთ, რომ

ოთახების რაოდენობაში, როგორც ცნობილია არ შედის შიდა დერეფანი და არც საეკუპანო, გვ. 54, იხ. გვეგმა).

გარდა ამისა მითითებულ ნახაზებში ფასადსა და გვეგმას შორის დატანილი ულია პროექციული კავშირი; განაშენიანების გვეგმაზე №3 ობიექტის პროპორცია არაა დატული. X2-3 ნახაზზე შენობის გვეგმა არ შეესაბამება მის აქსონომეტრიულ გამოსახულებას და სხვ.

ასეთ შეცდომებზე ყურადღების გამახვილება შეიძლება არ იყოს საჭირო (მცირე მასშტაბში შესრულებული ნახაზების შესახებ) მაგრამ ლ. სპ ბაძემ თავიდანვე ისეთ ასპექტში დააყენა საკითხები, რომ მათი უყურაოლი ბოდ დატოვება შეუძლებელია.

სტატიის 52 გვერდზე ვკითხულობთ: „შემორჩენილია ყორისაგან მშრალი წყობით ნაგები ბაკები“. ყორე თავისთავად ნიშნავს უკიროდ-უტალახოდ (მშრალი წყობით) ამოყვანილ ღობეს; საბას განმარტებით ყორე არის „უტალახო ლიტონის ქვით ნაშენები“ (სიტყვის კონა) ბაკი რაღა? ბაკი საბას განმარტებით საქონლისათვის „შეპოზლუდვილს“ ნიშნავს, ეს იგივე ზღუდეა ანუ ღობე (სხვა განმარტება არც არსებობს). თუ ეს ასეა მაშინ საინტერესოა შემოთქმული როგორ გავიგოთ? ალბათ ასე: უხსნაროდ აგებული ქვის ზღუდისაგან აგებულია მშრალი წყობით ქვის ზღუდე.

ჩვენი აზრით ასეთნაირი ცნობის მოწოდება მკითხველისათვის უხერხულია, ასეთი ინფორმაციები ბუნდოვანი და ამოსაცნობი კი არ უნდა იყოს არამედ იგი უფრო გასაგებად უნდა დაიწეროს.

არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ სტატიაში ხმარებულ ისეთ ყოვლად შეუფერებელ ტერმინზე, როგორიცაა — „გალერეული სახლი“ (იხ. გვ. 56, 58). ეს ტერმინი არცერთი დარგის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება და არც კოლხეთის ტერიტორიაზე ხალხურ გადმოცემებშიც არსად მსგავსი არაფერია შემორჩენილი.

აფხაზური თუ საერთოდ კოლხური სახლების ასეთი კლასიფიკაცია ყოვლად დაუშვებელია.

როგორ სახლებს უწოდებს ლ. სუმბაძე „გალერეულ სახლებს“? თუ თვალს გადავავლებთ მის მიერ ამ ტიპის სახლების აღწერას, ისინი არაფრით არ განსხვავდებიან დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ოდა-სახლებისაგან, ამას თვითონაც აღნიშნავს (იხ. გვ. 58).

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ტერმინი „გალერეული სახლი“ არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ასეთი სახლი არის აფხაზური „აკვასის“, რაიმე ტიპური ფორმა ან თუნდაც რაღაც თავისებური გადაწყვეტა. ლ. სუმბაძის „გალერეული სახლი“ ჩვენი აზრით იგივე შემინული აიენიანი ანუ შუშაბანდიანი სახლია, რომელიც გავრცელებულია კოლხეთის ტერიტორიაზე, მაშინ რა საჭიროა „გალერეული“?

58-ე გვერდზე სტატიის ავტორი წერს: „აფხაზური ოდა-სახლის თავისებურება გამოიხატება გადასასვლელი დერეფნის მოწყობაში „კუხნა სახლისაკენ“. „გადასასვლელი დერეფნის“ არსებობა (ამ რეგიონისათვის) ოდა-სახლის რაიმე განსხვავებული ტიპურობას ან კიდევ რაიმე თავისებურებას სრულიად არ ნიშნავს (ეს უკანასკნელი საერთოდ კოლხეთში გავრცელებული ელემენტია — ერთი შენობის ზეორესთან დასაკავშირებლად). იდენტური მაგალი-

თები ფიქსირებული გვაქვს სამეგრელოსა და იმერეთში (იხ. მონოგრაფია, ტ. 36, იასონ გიორგაძის სახლი სოფელ ზოდში კიათურის რაიონი).
თავისებურება, რაც კოლორიტულობაზე მიუთითებს, აფხაზურ შინაარსშია.
ში“, აშკარად გამოხატულია წინა ფასადზე აივნის შუაში გამოწეული ნაწილის ე. წ. „აბარწის“ აქცენტირებით, რომელიც ფასადის ორიგინალური გადაწყვეტის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს (იხ. მონოგრაფია, სურ. 81, 82, 83, 84, 85, ტაბ. 37, 39.).

უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ ზემოხსენებული ნამდვილი აფხაზური კოლორიტის „აკვასკა“ (მუზეუმისათვის) აფხაზეთის განაშენიანებაში სრულიად არა აქვს სტატიის ავტორს გათვალისწინებული, რაც არა სწორია, თავის დროზე უნდა ამას გადასინჯვა სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა. ორიგინალობა და თავისებურება მამინ ენიჭება ხალხურ ძეგლებს, როდესაც ის თავისთავადი შენაძენია და არ განიცდის სხვადასხვა სახის ზეგავლენებს და არც სხვაგან არაა გავრცელებული.

საჭიროა ამ საკითხზე თავიანთი სიტყვა და აზრი გამოთქვან აგრეთვე სხვა სპეციალისტებმა, ეთნოგრაფებმა და სხვ.

ყველა საპოლემიკო საკითხებს ჩვენ, არ შევხებივართ, რადგან სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა:

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხური ძეგლების მოხილვას და შერჩევას რა თქმა უნდა ერთი კაცის ხელი ვერ მიწევდება, რადგან ის მეტად შრომატევადი და რთული საქმეა (მოითხოვს ყურადღების დაძაბვას, რათა ხალხური ძეგლები დამახინჯებული არ გამოვიდეს). ამიტომ ყოველგვარი სუბიექტური და პირადული მიდგომა საკითხისადმი საზიანოა და არავითარი სასიკეთო შედეგი არ მოაქვს.

ჩვენი აზრით სტატიაში დაშვებული შეცდომები, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი ექვს არ იწვევს და შემდგომისათვის იგი უდაოდ გასათვალისწინებელია.

ბრინჯაოს ოთხი ანთროპომორფული ფიგურა

ლითონის მცირე პლასტიკას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ხელოვნებაში. ჩვენი მუზეუმების კოლექციებში ამჟამად თავმოყრილია ბრინჯაოს, რკინის, ავრეთვე ძვირფასი, ლითონებისაგან დამზადებული მცირე ზომის ზოომორფული და ანთროპომორფული ქანდაკებების მთელი წყება. მათ თავისებური მხატვრული სახე აქვთ და ასახავენ ამა თუ იმ პერიოდის ხელოვნების განვითარების დონეს. მაგრამ ლითონის მცირე პლასტიკის ნიმუშები ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. ამ წერილში ვიხილავთ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ადამიანის ოთხ ფიგურას. ზოგადად ისინი დათარიღებულია ძვ. წ. I. ათასწლეულის პირველი ნახევრით; როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მათი მიხედვით შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ გარკვეული ხანის მცირე პლასტიკის გამომსახველობითი ენის ევოლუციაზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზეკარში აღმოჩენილი ითიფალური ფიგურა, დაცული ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და მამაკაცის ერთი და ქალის ორი ფიგურა, ნაპოვნი შესაბამისად შორაპანში, გორში და ბალანთაში (ახალქალაქის რაიონი), და დაცული ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ქუთაისის მუზეუმში დაცული ფიგურა ნაპოვნია შემთხვევით 1913 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ზეკარში.² ფიგურა წარმოადგენს სხმულ ქანდაკებას. მისი სიმაღლეა 23 სმ. (სურ. 1). მამაკაცი გამოხატულია მთელი ტანით, ფეხზე მდგომი, ბრტყელ პოსტამენტზე, ფრონტალურ და უძრავ მდგომარეობაში. კისერი, ტორსი და ოდნავ განზე გადაგმული ფეხები გასწორებულია. ფიგურა შიშველია და აშკარად გამოხატული სქესობრივი ნიშნები აქვს. ფიგურა გამოირჩევა მკაცრი სიმეტრიულობითა და ხაზგასმული ვერტიკალობით — ფიგურის ვერტიკალური ღერძი მას ორ სიმეტრიულ ნაწილად ყოფს. სხეული ეყრდნობა ორივე ფეხის მთელ ტერფს. ფიგურის არაბუნებრივ დგომას აწონასწორებს და სიმტკიცეს მატებს იდაყვში მოხრილი წინ განვიდილი ხელები. ფალოსი, და ფიგურის ბრტყელი პოსტამენტი ფიგურის, მხრებისა და წინ განვიდილი, იდაყვებში მკვეთრად მოხრილი ხელების სწორკუთხა მოყვანილობა ქმნის დგომის პოზის დაძაბულობას, რაც ფიგურას შინაგან ძალას ანიჭებს. თავისა და სხეულის ზედა ნაწილის სიბრტყობრივობა სხეულის ქვედა ნაწილში უფრო მოცულობიან ფორმებში გადადის (ბარძაყები, ფეხები) და მიუხედავად სხეულის ნაწილების არაპროპორციულობისა, — დიდი წაგრძელებული ფორმის სახე, განიერი ტორსი, გრძელი წვრილი წელი და ტანთან შედარებით მოკლე ფეხები, ფიგურის დგომას მეტ სტატიურობასა და სიმაგრეს ანიჭებს. ბრტყელი სახე ვიწრო შუბლით, რელიეფური ხაზით გამოსახული ცხვირი, სწორი წარბები, მრგვალი თვალის გუგები, პატარა წვრილი პირი და მძიმე გრძე-



ლი ნიკაპი, ისევე როგორც, სხეული, უძრავი და დინამიურობას მთავრდება. ლია, თუმცა სახის სიბრტყის ერთგვარ უხეშ გრაფიკულ დამუშავებაში ნაკეთების ფორმათა კუთხოვნებაში ვლინდება მხატვრული სახის შინაგანი ძალა. ზედაპირი მოკლებულია პლასტიკურ მოდელირებას, ხოლო კისრისა და მკლავების ირგვლივ გამოსახულია ზოლები, გარკვეული შინაარსის მქონე გრაფიკული ორნამენტის სახით. ფორმის ერთიანი დაუმუშავებელი ზედაპირი სხეულს სიმაგრესა და ფიზიკურ სიძლიერეს მატებს. მკაცრი ფრონტალურობა, ჩაეტილობა და გამომსახველობითი ფორმის სტატიურობა განსაზღვრავს ფიგურის მხატვრული სახის განყენებულობას.

ქალის ქანდაკება გორის რაიონიდან (ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიის განყების ფონდი, ინვ. № 1—49:5, სურ. 2) გამოირჩევა თხელი, მოხდენილ ფორმათა თავისებური სილამაზითა და პლასტიკურობის გრძნობით. მისი სიმაღლეა 14,5 სმ. ფეხზე მდგომი ქალის შიშველი ფიგურა, რომელსაც აქვს ნათლად გამოსახული მკერდი და ზურგზე ჩამოშვებული დანული თმა, ეყრდნობა ორივე გასწორებულ ფეხს. მას გარკვეულ წონასწორობას ანიჭებს მარჯვენა მოხრილი, წინ განვიდელი ხელი და მარცხენა ხელი, რომელიც წელზე დონეზე მომართული აქვს. ფიგურის მკაცრი ფრონტალურობა არ გამორიცხავს ქანდაკების თავისუფალ დაყენებას, მის გაშლას სიბრტყობრივი ზონიდან სიღრმისაკენ, რაც იქმნება ხელების მდგომარეობით, განსაკუთრებით სივრცეში გამოწვდილი ხელით. სხეულის ნაწილების არაპროპორციულობას (დიდი მრგვალი თავი გრძელი ზედა ნაწილი და შედარებით მოკლე ფეხები) ერთგვარად ფარავს სინათლის მოულოდნელი ბლოკები, რომლებიც აკარგვინებს ფორმებს ნათელ სტრუქტურულობას. ფორმის პლასტიკურობა და ერთიანი სილუეტური ხაზის სირბილე ქალის ფიგურას სინაზესა და სილამაზეს ანიჭებს. შედარებით ზეკარის ფიგურასთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხეულის აბსტრაქტული ტექტონიკა, ნაწილების გეომეტრიზაცია, ქალის ფიგურაში ჩანს სიცოცხლის უფრო ორგანული შეგრძნება. ფიგურა ორიენტირებულია რეალური სამყაროსაკენ, მისი მზერა მიპყრობილია მყურებლისაკენ, მარჯვენა ხელის შესტი აკავშირებს მას გარემოსთან.

სხეულის მოძრაობის დინამიურობის ძიების თვალსაზრისით საინტერესოა შორაპნის მახლობლად აღმოჩენილი მამაკაცის შიშველი ფიგურა (ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმში არქეოლოგიის განყების ფონდი, ინვ. № 11—04:3). მისი სიმაღლეა 6,4 სმ. სურ. 3.

ფიგურა გამოხატავს ძლიერ სწრაფ მოძრაობას. პირველი ნიშანი ფიგურის მოძრაობისა არის მარცხენა მოხრილი და წინ განული ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებს სხეულის ტორსი, რომელიც ფრონტალური და უძრავია, წინ განვიდელი ხელები და ოდნავ წინ დახრილი არაპროპორციულად დიდი, მძიმე თავი, ფიგურას ანიჭებს მოძრაობისა და წინ სწრაფვის შთაბეჭდილებას. ფიგურის სახეც მოძრავი და დინამიურია. ზეკარის ფიგურის სახის სიბრტყობრივობა ნაკლებების მკაცრი სიმეტრიულობა და უძრავობა, ფორმის გრაფიკულობა, ად-



გილს უთმობს მოცულობითი ფორმის პლასტიკურ დამუშავებას. ნაკვეთების ასიმეტრია (სიმეტრიულად გამოსახული თვალის გუგები), დიდი ფარგლებული პირი, დიდი ჩაღრმავებული ფორმის ყურები ქმნის მხრობის დინამიურობას, სახის მიმიკურ ექსპრესიას. ზეკარის ფიგურის მოძრაობის სტატიურობა და შინაგანი დაძაბულობა იცვლება გამომსახველობითი ფორმის ცოცხალი დინამიურობით, სხეულის გადაადგილებით სივრცეში. ზეკარის ქანდაკების განყენებულ შინაგან ექსპრესიას სცვლის უფრო ცოცხალი, აქტიური დამოკიდებულება გარემოსთან, მხატვრული სახის უფრო კონკრეტული ხასიათი.

მიუხედავად ზეკარის ფიგურის სხეულის ნაწილების პროპორციათა მეტი სიზუსტისა, ფორმათა მეტი სრულყოფილებისა, ქანდაკება შორაპნიდან უფრო გამომსახველი და რეალისტური.

სოფ. ბალანთაში ნაპოვნი ქალის ქანდაკება (ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმი არქეოლოგიის გან-ბის ფონდი, ინვ. № 22—57: 1, სურ. 4) გამოირჩევა ფორმის არქაულობით. მისი, სიმაღლეა 7,5 სმ. ამ ფიგურასა და გორის რაიონში აღმოჩენილი ფიგურის შედარება თვალსაჩინოდ წარმოადგენს ქანდაკების განვითარების გზას ამ ხანაში, — სხეულის დაუნაწევრებელი პრიმიტიული ფორმებიდან, კომპოზიციური აგების უსუსურობიდან ქანდაკების სპეციფიური ნიშნების ჩამოყალიბებამდე განვითარების ამ ადრეულ ეტაპზე. თავის მხრივ ქალის ფიგურის მოცულობიან ფორმათა მასიურობა და სიმძიმე პრიმიტიული ძალის გამომსახველია.

ანთროპომორფული ფიგურების სემანტიკა უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო ნაყოფიერების კულტთან. სამყაროს განვითარების მატრიარქალურ საფეხურზე ძირითადი მნიშვნელობა მდებრობითი ნაყოფიერე-

1. ფიგურა ზეკარიდან; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

1. Фигура из Зекара; Кутаисский историко-этнографический музей.





2-ა, ფიგურა გორის რაიონიდან; ს. ჯანაშიას ხაზ. საქ. სახელმწიფო მუზეუმი. წინედან.

2ა. Фигура из Горийского района; Гос. музей им. С. Джанашиа.

მ. ფიგურა შორაპნიდან; ს. ჯანაშიას ხაზ. საქ. სახელმწიფო მუზეუმი.

3. Фигура из Шорапани; Гос. музей им. С. Джанашиа.



2-ბ "ორგი.

26. სინა.

4. ფიგურა სოფ. ბალანთიდან; ს. ჯანაშიას ხაზ. საქ. სახელმწიფო მუზეუმი.

4. Фигура из с. Баланта; Гос. музей им. С. Джанашиа.





ბის ძალას ენიჭებოდა. უძველესი ხელოვნების ნიმუშები სწორედ მცირე პლასტიკის გამოსახულებებია, მკვეთრად აქცენტირებული სასქესო ნიშნებით. დროთა განმავლობაში, პატრიარქალურ საფეხურზე მამაკაცთა ფიგურების კულტში მთავარ ადგილს იკავებს, თუმცა მამა ღვთაება ნაყოფიერების კულტში უკვე ენეოლითის ძეგლებზე შეინიშნება.

როგორც ცნობილია, ერთხელ შექმნილი კულტი არ კარგავს თავის მნიშვნელობას მაშინაც, როდესაც იქმნება ახალი კულტი. შესაძლებელია, მათი ერთდროული არსებობა, ან მათი შერწყმა-შეერთება.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს მცირე პლასტიკა ძირითადად დაკავშირებულია ნაყოფიერების მამრობითი სქესის ღვთაების კულტთან, რასაც მოწმობს მათი ფალოსური ხასიათი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთდროულად არსებობდნენ მათი მდედრობითი პარალელებიც.

ბრინჯაოს ფიგურების სემანტიკის დადგენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული წარმართული ხანის ძველი რელიგიური წესჩვეულებების შესწავლას, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ნაყოფიერების როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესისა ღვთაების კულტთან. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ხალხური სანახაობრივი წარმოდგენები — ბერიკაობა, ყუენობა, ხატობის დღესასწაული მოხვევებთან, სადაც ცხვრის კულტი დაკავშირებული იყო ღვთაება კვირიასთან (ფალოსის კულტი), რომელიც ქართველთა შორის ცნობილი იყო როგორც ნაყოფიერების ღვთაება. მოხვევების რელიგიურ წარმოდგენებში კვირიას (ფალოსი) კულტთან ერთად არსებობდა მდედრობითი სქესის ნაყოფიერების კულტი „კვირღვთისშვილი“.

ზემოთ განხილული ოთხივე ბრინჯაოს ფიგურა სემანტიკურად ერთიდაიგივე მნიშვნელობისაა და ერთი საკულტო დანიშნულება აქვთ. ისინი მამრობითი და მდედრობითი სქესის ნაყოფიერების სიმბოლური გამოსახულებებია. თითოეულ ფიგურას თავის ხასიათიდან, კომპოზიციის თავისებურებიდან გამომდინარე უფრო კონკრეტული შინაარსი აქვს და განასახიერებს სხვადასხვა ნაყოფიერების კულტს, — ოჯახის, ნადირობის, მიწათმოქმედებისა და ა. შ.

განხილული ფიგურებიდან ორი უფრო არქაული ხასიათისაა — ზეკარიდან (სურ. 1) და ბალანთიდან (სურ. 4). თუმცა მათი ფორმის არქაულობა არ განსაზღვრავს ფიგურების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, რადგანაც ამ შემთხვევაში საგულისხმოა აგრეთვე თითოეული შემქმნელის ინდივიდუალური ოსტატობა.

ფიგურების განხილვა ცხადყოფს როგორც მათ მსგავსებას (სემანტიკა, დანიშნულება, მასალა (ბრინჯაო), ფიგურების ნაწილების პროპორციული შეფასება) ასევე განსხვავებასაც, რაც ქანდაკების გამომსახველობითი ენისა და მხატვრულ-ისტორიული ევოლუციის შედეგია.

ბრინჯაოს ფიგურების ფორმის არქაულობა, — კომპოზიციის მკაცრი ფრონტალურობა, აღქმის ერთი წერტილი, სტატიურობა, კუთხოვნება, თავის თავში ჩაკეტილობა იცვლება კომპოზიციური აგების მეტი თავისუფლებით. ადამიანის სხეულის ორიენტაცია ხდება სიბრტყიდან სიღრმისაკენ,



ფიგურა იჩენს გარემომცველ სივრცეში გაშლის ტენდენციას, უჩნდება ალქმის მეტი ნერტილი (სურ. 2, 3). თავს იჩენს მისწრაფება უფრო სრულყოფილ ფილად გადმოიცეს ადამიანის სხეულის მოცულობა, მისი ფორმის გვალე, ნაკეთების რბილი გადასვლები. კომპოზიციის სტატიურობის გადალახვა დაკავშირებულია სხვადასხვა მოძრაობის მოტივების ძიებებთან. ადამიანის ფიგურა იწყებს მოძრაობას, იძენს დინამიურობას. ქანდაკება ხდება თავისუფალი, არსებობს სამ განზომილებაში. მართალია ბრინჯაოს ხანის ანთროპომორფული ქანდაკებებისათვის, კერძოდ ფიგურისათვის გორიდან დამახასიათებელია „მოქმედების მოძრაობა“¹, მოძრაობა არა რაიმე თემატიური მოტივის გარეშე, როდესაც მთავარია სხეულის პლასტიკური ფუნქციების ჩვენება, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სხეული, არამედ მოძრაობა, რომელიც გამართლებული უნდა იყოს რაიმე მოქმედების მოტივით (თუ არ არის მოქმედება-ქანდაკება სტატიურია, სურ. 1).

გორის რაიონში აღმოჩენილი ქალის ფიგურის მარჯვენა ხელის ფესტი (სურ. 2). გამოხატავს მის მოქმედებას, კონტაქტს გარემოსთან. შესაძლებელია თავდაპირველად ფიგურას მარჯვენა ხელში ეჭირა რაიმე საგანი; არ არის გამორიცხული, რომ ეს საგანი ყანწი ყოფილიყოს, რადგან როგორც ცნობილია უძველესი დროიდან ყანწი ნაყოფიერების სიმბოლოდ არის მიჩნეული და ამ შემთხვევაში უპასუხებდა ამ ფიგურის სემანტიკას.

შორაპნის ფიგურის (სურ. 3) წინ გამოწეული ხელების ფესტი გამოხატავს ფიგურის სივრცეში გადაადგილებას რალაც მიზნით, განსაზღვრულია რალაც თემატიური მოტივით. შესაძლოა ეს არის მეომრის გამოსახულება, რომელსაც ხელში უნდა ჭეროდა სანადირო იარაღი, ან გამობატავს მინათმოქმედებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედებას (ხვნა, თესვა). ამ შემთხვევაში თითოეული ქანდაკების სემანტიკური მნიშვნელობა შეიძენდა უფრო კონკრეტულ შინაარსს, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროსთან. ოთხივე ფიგურა შესრულებულია ბრინჯაოში, მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისაგან შესრულების მანერით, მასალის გრძნობით. ქანდაკების გამომსახველობითი ენის განვითარება სკულპტურულ პრინციპებიდან პლასტიკურობისაკენ მიდის. ზეკარის ფიგურისათვის დამახასიათებელია სკულპტურულობა. ის სტატიურია, ჩაკტილი, მოგვაგონებს ქვისაგან გამოკვეთილ სხეულს. გორისა და შორაპნის ფიგურებისათვის, პირიქით, დამახასიათებელია მოძრაობა, სივრცეში გაშლა, დინამიურობა, პლასტიკის ძერწვის პრინციპი, ბრინჯაოს მასალის გრძნობა (აილუეტისა და კონტურის გამომსახველობა, დეტალების მკვეთრი დამუშავება — ჩამოშვებული დაწნული თმა, ყურები, სახის ნაკვთები, სინათლის მკვეთრი რეფლექსები.

გამომსახველობითი ენის განვითარება, — ქანდაკების სამგანზომილებიანობა, ადამიანის სხეულის უფრო სრულყოფილად გადმოცემა, მოძრაობის გადმოცემა, დინამიურობის ზრდა ქანდაკებას ანიჭებს ცოცხალ ემო-



ციურობას, რომელიც ვლინდება მის აქტიურ დამოკიდებულებაში მომცველ სამყაროსთან.

აფამიანის სხეულის გადმოცემაში, მისი ნაწილების პროპორციულობაში, ფორმის პლასტიკურ მოდელირებაში, სილუეტის გამომსახველობაში ვლინდება სილამაზის გრძნობა. მხატვრული სახე კარგავს განყენებულ ხასიათს და მიუხედავად თავისი სემანტიკისა და საკულტო დანიშნულებისა იძენს დამოუკიდებელ მხატვრულ მნიშვნელობას.



1 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, 1944 წ. გვ. 69-70.
 2 ს. შავალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, მიმოხილველი ტ. 1, თბილისი, 1926. სურ. 1.
 3 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 58-59.
 3 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1928, გვ. 33-36.
 С. И. Макалатия, Культурные места и связанные с ними ритуальные обряды у грузин-мохевцев, изд. Академии наук СССР, XI. М.-Л., 1935.
 4 В. Р. Виппер, Статьи об искусстве, М., 1970, стр. 202.



ნარსუსის კულტურული მემკვიდრეობისათვის ზრუნვა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავთაგანია. ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლები უტყუო მემკვიდრეობა არიან ჩვენთვის მრავალჭირნახული ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრებისა. ისტორიულ მოვლენებთან, მშრომელთა გმირული ბრძოლისა და შრომის ღირსსახსოვარ ეპიზოდებთან თუ თარიღებთან დაკავშირებულ სამახსოვრო ადგილებს, ნაგებობებს, მემორიალებს, ხალხი წმინდა ადგილებად მიიჩნევს და თვითმყოფადი კულტურის მშვენიერებითა და სიდიადით აღბეჭდილ ამ უტყუარ და სანდო რელიკვიას უვლის, უფრო ხილდება.

როდესაც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „— ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“, როდესაც მიღებულია ახალი კონსტიტუცია კულტურის ძეგლთა დაცვა არა მარტო სახელმწიფოებრივი ორგანოების დიდშინ-შენელოვანი საქმეა, არამედ თითოეული საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციურ მოვალეობად ითვლება. კარგად აქვს ყელაფერი ეს გაგებული ზუგდიდის რაიონის პარტიულ, საბჭოთა პროფკავშირულ, კომკავშირულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მთელს საზოგადოებას. ამ მიმართულებით ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება: ისინი ვარკვეულ მუშაობას ეწევიან რაიონში არსებული ძეგლების დაცვის, გამოვლენის, საზოგადოებაში ნეურთა მიზიდვისა და ორგანიზაციული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.


ამგამად ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მრავალი ათეული ძეგლი, ციხესიმაგრე და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილია; მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: XII-XIII სს. ძეგლი ცაიშის გუმბათიანი ეკლესია და სამრეკლო, ცაიშის მიდამოებში არსებული ძეგლების კომპლექსი — „ჯვგვთა“, ეკლესია წმინდა გიორგისა, შუასაუკუნეების კორცხელის გუმბათიანი ეკლესია და კოშკი, ყულის გუმბათიანი ეკლესია და კოშკი და სხვ. ციხესიმაგრეებს შორის აღსანიშნავია შუასაუკუნეების ციხე ანაკლიაში, ლევან მუჯრე დადიანის მიერ XVII ს. აშენებული ციხე — რუხში, გვიანი შუასაუკუნეების — „ჭაქვიანჯის ციხე“, შუასაუკუნეების ციხე ქალაქი „ჩივისკარი“ — კორცხელში, ციხესიმაგრის ნანგრევები — სოფელ კახათში.

რაიონში ბევრი ობელისკი და მემორიალური დაფაა, რომლებიც ასახავენ ჩვენს რაიონის მშრომელთა გმირულ ბრძოლებს. რუსი ქართველი და აფხაზი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობაზე, მათს თავდადებასა და გმირობაზე მოგვითხრობს სოფელ კოკში „ნალი-მაზე“ აღმართული ობელისკი, რომელიც ნალიმას 1913 წლის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფადაა აგებული.

უკანასკნელ ხანს ქართველ არქეოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ჩვენს რაიონში მეტად საყურადღებო ძეგლები იქნა გამოვლენილი, რომლებიც უძველესი ქართული (კოლხური) კულტურის რიგ მნიშვნელოვან საკითხებს ახლებურად აშუქებენ და ამდიდრებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ერგვტაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვ. წ. VII-VI სს. სამაროვანი.

გარდა ზემოაღნიშნულისა კამბიტალური რემონტი გაუკეთდა ცაიშის, კორცხელის, ყულის გუმბათიანი ეკლესიებს, გაიზარდა სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოსახლეობის ინტერესი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობისადმი. რაიონის კოლმურწიობები, სკოლები და სხვა დაწესებულებები მუდობას უწევენ ძეგლებს, ყოველწლიურად გამოიყოფა სახსრები ძეგლების შესაკეთებლად.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საგრძნობი ნაწილი საზოგადოებრივ საწესიებზე ღებულობს მონაწილეობას ციხესიმაგრეების, კოშკების, დარბაზების, მონუმენტების, ხიდებისა და სიძველეთა სხვა ძეგლების, ისტორიული ადგილების კეთილმოწყობისათვის. მაგალითად, ცაიშის, კორცხელის, კოკის, რუხის ორგანიზაციებმა მოაწყვეს სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ ძეგლებზე შაბათობები, გაასუფთავეს ძეგლებისა და ისტორიული ადგილების ტერიტორია, გაამწვანეს და შემოაკავეს მათი მი-



რუხის ციხე.
კ. უფუფუნიას ფოტოები.

Крепость Рухи.
Фото К. Купуши.





შეფება რუხის ციხის ტერიტორიის და-
სუფთავებაზე.

Шефы на территории крепости
Рухи.

დამოგები; კოკის სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდობა შეფობას უწევს კოკის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ადგილ „ნალიმას“ და ეკლესიას. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების წევრების მიერ უკანასკნელ ხანს მრავალი არქეოლოგიური და ისტორიული ხასიათის ნივთი იქნა გამოვლენილი, რომლებიც ჩაბარდა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. ამ საქმეში განსაკუთრებულ მონაწილეს იჩენს მოსწავლე ახალგაზრდობა.

ძველების შენარჩუნების მიზნით, რისაბჭოს აღმასკომის 1979 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით ყველა ძველზე გაპიროვნებულია შუფი ორგანიზაციები, მათთან დაკავშირებულია ხელშეკრულებები. კორცელის, ცაიშის, ყულის, რუხის ისტორიულ ძველებს ყვეთ შტატიანი მცველები.

ძველთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭო სერიოზულ მუშაობას ეწევა პირველადი ორგანიზაციების შექმნის, წევრთა მიზიდვისა და სანჯერო შესატანების გვეგების შესრულების საქმეში. ამჟამად რაიონში შექმნილია და მუშაობს ძველთა დაცვის საზოგადოების 87 პირველადი ორგანიზაცია, იურიდიულ წევრთა რიცხვი შეადგენს 69-ს, კულტურის ძველთა დაცვის საზოგადოების ორგანიზაციაში ირიცხება 22.795 წევრი, მათ შორის მოსწავლეა 12.585; წევრთა რაოდენობის ზრდისა და სანჯერო შესატანების გვეგების შესრულებაში კარგ მხატვართს იძლევიან ინჯირის, ჭიანჭყაროს, ჩხორის, ოდიშის, ნარაზენის, ცაიშის, კორცელის, რუხის, ორჯონიკიძის და რიგი სხვა ორგანიზაციები.

საზოგადოება „ცოდნათის“ ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოხალეობაში ლექციების, მოხსენებების, საუბრების მონაწილეს. 1979 წელს ჩატარდა 93 ასეთი ღონისძიება, საზოგადოების წევრების ამხ. შ. პაჭკორიას, შ. ქობალიას, ი. ქორთუას, ა. ქირიას, კ. სამუშიას, შ. თოდუას, ვ. ნაჭყებიას, ტ. ქორთუას, ჯ. როგავას მიერ ნაკითხულ იქნა ლექციები ისეთ თემაზე როგორცაა: „რუხის ციხე და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, „საქართველოს წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში“, „ნალიმა“ როგორც ისტორიული ძველი“, „გაუფორთხილდეთ კულტურის ძველებს“, „კულტურის ძველები და



შათი ისტორიული წარსული", და ა. შ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები აბს. შ. პაჭკორია და ჯ. როგავა სისტემატურად ათავსებენ პრესაში ნარკვევებს ისტორიულ ძეგლებზე. საინტერესოა მაგ. აბს. შ. პაჭკორიას ბროშურა — „ვიცნობდეთ კულტურის მემკვიდრეებს". ამ საქმეში ფართოდ არის გამოყენებული ადგილობრივი გაზეთი „მებძოლენი ქველდოი და ინფორმაციის სხვა საშუალებები. კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტარდება კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, ბევრგან მოწყობილი აქვთ გამოფენები.

1978-1979 წლებში მოეწყო ექსკურსიები; დათვალა იქნა ნალექის, ცხაკაიას, ხობის, გეგეჭკორის რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული ძეგლები, ხოლო გასულ წელს კი რაიონში არსებული ძეგლები. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ექსკურსია მოეწყო აფხაზეთში, სადაც დათვალა იქნება ისტორიული ძეგლები, მათ შორის უნაქორის ძეგლი „ახალათონის მღვიმე“.

ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება სანვერო შესატანების გეგმა, 1977 წელს ფინანსური გეგმა შესრულებულ იქნა 143,3 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4500 მანეთისა შეტანილია 6452 მანეთი; 1978 წელს ფინანსური გეგმა შესრულებულ იქნა 150,3 პროცენტით, ნაცვლად გეგმიური 4500 მანეთისა შეტანილია 6764 მანეთი, ხოლო 1979 წელს 146,1 პროცენტით.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისა და სანვერო შესატანების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის რაიონული საბჭო ყოველწლიურად ჯილდოვდება საპატიო სიგელით და ფულადი პრემიით.

გაუმჯობესდა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. რაიონულ საბჭოს გააჩნია პერსპექტიული და კვარტალური სამუშაო გეგმები, რომლებიც მტკიცდება საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრებზე განაწილებულია ფუნქციები.

ისახება კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, დაწესებულია კონტროლი მის შესრულებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველად ორგანიზაციებში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებების რეაგირებას, საბჭოს სხდომის ოქმები და სხვა მასალები გაფორმებულია სათანადოდ. საბჭოს წევრები, აქტივისტები, მჭიდრო კავშირში იმყოფებიან ძირეულ ორგანიზაციებთან, უწყვენ მათ საქმიან და პრაქტიკულ დახმარებას, სწავლობენ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ძეგლებს. ამ საქმეში ფართოდ არის გამოყენებული საზოგადოების წევრები, სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები, ინტელიგენცია, ენთუზიასტები.

კულტურის ძეგლების დაცვისა და მოვლის, პირველადი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის დღენიდაცა ზრუნავენ და პრაქტიკულ დახმარებას უწყვენ საქართველოს კმ ზუგდიდის რაიკომი და სახალხო დემუტატების რაისაბჭოს აღმასკომი. ამას მოწმობს ამ ორგანიზაციების რეგულარული გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხებზე.

განუღლი მუშაობის მიუხედავად, კულტურის ძეგლების მოვლისა და შენარჩუნების საქმეში გვაქვს ნაკლოვანი მხარეები. რაიონში ჯერ კიდევ არის მოუვლელი ძეგლები, რუხისა და ქაქვიჯის ციხესიმაგრეები საჭიროებს აღდგენით სამუშაოებს, შესარემონტებულია ციხისა და ყულის გუმბათიანი ეკლესიები. მეცნიერულად უნდა იქნას შესწავლილი ციხე-ქალაქი „ჩივისკარი“. კულტურის ძეგლების ისტორია მთლიანად დაკავშირებულია ჩვენი რაიონის წარსულის, მისი ისტორიის, ჩვენი კუთხის სახელკვანი წინაპრების ცხოვრების შესწავლასთან, ამიტომ ამ კეთილშობილურ საქმეს მომავალში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

რაიონში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთეულებს, არცერთ ძეგლს არა აქვს დაცვითი და მისი მოკლე ისტორიის მანუშკებილი წარწერები. ამ საკითხზე რამდენჯერმე ვთხოვეთ სათანადო ორგანიზებს, მაგრამ რატომღაც დღემდე არ მოგვარდა.

რაიონული საბჭოსგან უფრო მეტ დახმარებას მოითხოვენ ძირეული ორგანიზაციები, რაც უნდა იქნას გათვალისწინებული.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭო, საქართველოს კმ ზუგდიდის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ყოველწლიური ხელმძღვანელობით და დახმარებით ყველაფერს გააკეთებს მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის.



ვისაც საგარეო საინფორმაციო ტერიტორიაზე გაუვლია აუცილებლად შეამჩნევს მატერიალური კულტურის ძეგლთა სიმრავლეს. დღევანდლამდე მოაღწია და თავისი სიდიდით დღესაც არცერთ მხარეზე დაფიქრებული გარეულის სამონასტრო კომპლექსი, ეპიტაფიკა გორგასალის მიწაზე უჯარმის ამონებულნი ციხე-ქალაქის გრანდიოზული ნანგრევები, ნინოწმინდის ტაძარი, სამება-კანარეთის მონასტერი, მანავის და ჩაილურის ციხესიმაგრეები, ხორაულის მონასტერი, უჯარმის უდაბნო, ვერონის ციხე, პატარაქულის უნიკალური კოშკები, ხაშის ყოვლადმშენი, თარაქის ედრების წმ. გიორგი და მრავალი სხვა.

